

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2011, №7-9

ზოგადი და კერძო ნაწილი

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

I ზოგადი ნაწილი

1. გამოსაცდელი ვადა
2. შეწყალება

II კერძო ნაწილი

3. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ხულიგნური ქვენაგრძნობით
4. თავისუფლების უკანონო აღკვეთა; დაუხმარებლობა
5. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ
 - თაღლითობა (მცდელობა)
 - ქურდობა
 - ძარცვა
6. ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების მცდელობა
7. დანაშაულის შეუტყობინებლობა

I ზოგადი ნაწილი

1. გამოსაცდელი ვადა

განჩინება

197-აპ-11

28 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ზ-ის ადვოკატ გ. ო-ისა და მსჯავრდებულ ჯ. ხ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 22 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის განაჩენით ჯ. ხ-ე და გ. ზ-ი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინეს თაღლითობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

1998 წლის 11 ივნისს ჯ. ხ-ემ თავის კუთვნილ ბინას (მდებარე თბილისში, მუხიანის დასახლების, მე-... მრ-ნის, ... კორპუსის, ბინა ...) გაუკეთა პრივატიზაცია. აღნიშნულ ბინაზე ჯ. ხ-ის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში დარეგისტრირდა 2007 წლის 23 იანვარს.

იპოთეკური სესხის მიღების მიზნით 2007 წლის 24 იანვარს ჯ. ხ-ემ მ. ნ-ესთან გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მან სესხის სახით მიიღო 14370 აშშ დოლარი, ხოლო სესხის უზრუნველყოფის მიზნით ზემოხსენებული ბინა დაიტვირთა იპოთეკით. აღნიშნულ ბინაზე იპოთეკის წარმოშობა საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 2007 წლის 26 იანვარს და ამავე თარიღით გაიცა შესაბამისი ამონაწერი, რომელშიც იპოთეკარად მითითებული იყო მ. ნ-ე.

დამატებითი სესხის მისაღებად ჯ. ხ-ემ მ. ნ-ესთან 2007 წლის 26 სექტემბერს გააფორმა სესხისა და იპოთეკის ახალი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ცვლილება შევიდა მათ შორის დადებულ წინა ხელშეკრულებაში, ჯ. ხ-ის მიერ სესხად აღებულ თანხას დაემატა 12000 აშშ დოლარი და მთლიანობაში სესხის თანხამ შეადგინა 26370 აშშ დოლარი. ამასთან, სესხის უზრუნველყოფის მიზნით ჯ. ხ-ის კუთვნილი ბინა მ. ნ-ის სასარგებლოდ ხელმეორედ დაიტვირთა იპოთეკით. მიუხედავად იმისა, რომ ჯ. ხ-ემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინა დოკუმენტები იპოთეკის ცვლილების რეგისტრაციის შესახებ, დასახელებული სამსახურის მიერ 2007 წლის 2 ოქტომბერს გაიცა ამონაწერი, რომელშიც მითითებული იყო, რომ ბინა არ იყო იპოთეკით დატვირთული.

ახალი სესხის აღების მიზნით ჯ. ხ-ემ 2008 წლის 8 აპრილს კვლავ აიღო ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვით, მისი კუთვნილი ბინა არ იყო დატვირთული იპოთეკით. ამ ამონაწერის საფუძველზე 2008 წლის 10 აპრილს ჯ. ხ-ემ გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება მ. ა-ესთან, ლ. ნ-თან, გ. გ-ესთან და მათგან ისესხა საერთო ჯამში 25000 აშშ დოლარი, ხოლო სესხის უზრუნველყოფის მიზნით კუთვნილი ბინა დატვირთა იპოთეკით. 2008 წლის 14 აპრილს საჯარო რეესტრმა გასცა შესაბამისი ამონაწერი, სადაც დაფიქსირდა მონაცემები ხსენებული სამი იპოთეკარის შესახებ, თუმცა კვლავ არ იქნა მითითებული, რომ ბინა მანამდე დატვირთული იყო იპოთეკით მ. ნ-ის სასარგებლოდ.

ჯ. ხ-ემ ისარგებლა იმ გარემოებით, რომ 2008 წლის 14 აპრილს საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ამონაწერი იყო ყალბი, დაუკავშირდა მეგობარ გ. ზ-ს და მასთან ერთად განიზრახა, აღნიშნული ამონაწერის გამოყენებით მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა დიდი ოდენობით სხვის ქონებას.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ჯ. ხ-ემ, გ. ზ-თან შეთანხმებით და მისი უშუალო დახმარებით, ზემოხსენებული ყალბი ამონაწერის გამოყენებით, საშუაშაველო ფირმის მეშვეობით გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გ. დ-ასთან, ნ. გ-სა და ა. პ-თან, რომლის საფუძველზეც სესხის სახით მიიღო: გ. დ-ასაგან – 25000 აშშ დოლარი, ნ. გ-ისაგან – 10000 აშშ დოლარი, ხოლო ა. პ-ისაგან – 5000 აშშ დოლარი, საერთო ჯამში – 40000 აშშ დოლარი. მიღებული თანხიდან ჯ. ხ-ემ და გ. ზ-მა

დაფარეს მ. ა-ის, ლ. ნ-ისა და გ. გ-ის სესხები, რაზეც გაფორმდა შესაბამისი სანოტარო აქტი იპოთეკაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო დარჩენილი თანხა – 7000 აშშ დოლარი ურთიერთშორის გაინაწილეს. ამ დოკუმენტების საფუძველზე საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში 2008 წლის 17 ივლისს შეტანილი ჩანაწერების მიხედვით, აღნიშნული ბინა გათავისუფლდა მ. ა-ის, ლ. ნ-ისა და გ. გ-ის იპოთეკისაგან და ხელახლა დაიტვირთა იპოთეკით გ. დ-ას, ნ. გ-ისა და ა. პ-ის სასარგებლოდ.

მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით ჯ. ხ-ემ გ. ზ-თან შეთანხმებით 2008 წლის 11 ნოემბერს მეუღლესთან – რ. ბ-თან გააფორმა ნასყიდობის ფიქტიური ხელშეკრულება და ზემოხსენებული ბინა 2008 წლის 17 ნოემბერს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში დარეგისტრირდა რ. ბ-ის საკუთრების უფლებით. ამასთან, იმავე მიზნით, ჯ. ხ-ემ და გ. ზ-მა დაფარეს ა. პ-ისაგან მიღებული თანხა.

2009 წლის 20 იანვარს პირველი რიგის იპოთეკარმა მ. ნ-ემ საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ტექნიკური ხარვეზის შესწორების მიზნით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს, რის შემდეგაც დასახელებული სამსახურის მიერ 2009 წლის 20 თებერვალს გაცემულ ამონაწერში ჯ. ხ-ის კუთვნილ ბინაზე პირველი რიგის იპოთეკარად დაფიქსირდა მ. ნ-ე. ვინაიდან ჯ. ხ-ემ ნებყოფლობით არ დაფარა მ. ნ-ის სესხი 26370 აშშ დოლარის ოდენობით, ზემოხსენებული ბინა იძულებითი აუქციონის გზით გადაეცა მ. ნ-ეს და აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2009 წლის 16 ივნისის განკარგულების საფუძველზე საჯარო რეესტრში 2009 წლის 23 ივნისს დარეგისტრირდა მ. ნ-ის საკუთრების უფლებით. აქედან გამომდინარე, ჯ. ხ-ისა და გ. ზ-ის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად გ. დ-ასა და ნ. გ-ს მოესპოთ სესხის უზრუნველყოფის საშუალება, რის გამოც მათ ვერ შეძლეს გაცემული სესხის დაბრუნება.

ჯ. ხ-ე და გ. ზ-ი თაღლითურად დაეუფლნენ გ. დ-ას კუთვნილ 25 000 აშშ დოლარსა და ნ. გ-ის კუთვნილ 10 000 აშშ დოლარს, რითიც მათ მიაყენეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ჯ. ხ-ეს განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 3500 ლარი, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წელი, 11 თვე, 26 დღე და საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის, 11 თვისა და 26 დღის ვადით, საიდანაც 7 წელი უნდა მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი ნაწილი – 4 წელი, 11 თვე და 26 დღე – ჩაეთვალა პირობით, 5 წლის, 11 თვისა და 26 დღის გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 3500 ლარი.

გ. ზ-ს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 4000 ლარი, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წელი, 11 თვე, 28 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის, 11 თვისა და 28 დღის ვადით, საიდანაც 7 წელი უნდა მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი ნაწილი – 4 წელი, 11 თვე და 28 დღე – ჩაეთვალა პირობით, 5 წლის, 11 თვისა და 28 დღის გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარი. მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2010 წლის 15 ნოემბრიდან; ჯ. ხ-ეს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2010 წლის 17 მარტიდან იმავე წლის 15 ნოემბრამდე, ხოლო გ. ზ-ს – 2010 წლის 11 მაისიდან 2010 წლის 15 ნოემბრამდე.

დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელები და ჯ. ხ-ესა და გ. ზ-ს სოლიდარულად დაეკისრათ გ. დ-ას სასარგებლოდ – 25 000 აშშ დოლარის, ხოლო ნ. გ-ის სასარგებლოდ – 10 000 აშშ დოლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და გამართლება, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი ჯ. ხ-ისა და გ. ზ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ჯ. ხ-ე საკასაციო საჩივრებში აღნიშნავს, რომ მის მიმართ წინასწარი გამოძიება წარმოებდა მიკერძოებით და არაკვალიფიციურად; არ დაიკითხნენ მის მიერ მითითებული მოწმეები, რომელთა ჩვენებებით დადგინდებოდა სიმართლე; პროკურორი გამოდიოდა მ. ნ-ის დამცველის როლში და მათი შემწეობით თავად ჯ. ხ-ე გახდა თაღლითების მსხვერპლი – დაკარგა საცხოვრებელი ბინა, მისი ოჯახი აღმოჩნდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და სოციალურად დაუცველთა რიგებში. გარდა ამისა, მოსამართლემ არასწორად დაუმატა ძირითად სასჯელს პირობითი მსჯავრი – 4 წელი, 11 თვე და 26 დღე. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ არ ცნობს თავს დამნაშავედ, საქმეში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ დანაშაულის ჩადენას; განაჩენი ასევე უკანონო და დაუსაბუთებელია მისთვის სამოქალაქო მოსარჩევეების სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილშიც. აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ჯ. ხ-ე ითხოვს მოწმეების – გ. ზ-ის, ჯ. ც-ის, ნ. ბ-ის, მ. ბ-ის, ც. ჯ-ის და მ. შ-ის დაკითხვას და მათი ჩვენებების საფუძველზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას – დადგენილი განაჩენის გაუქმებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

კასატორი – მსჯავრდებულ გ. ზ-ის ადვოკატი გ. ო-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულებს – გ. დ-სა და გ. გ-ს არ დაუყენებიათ სამოქალაქო სარჩელები 15 მაისამდე; მხოლოდ ამ დროს დაწერეს განცხადება, რომ ისინი ეცნოთ სამოქალაქო მოსარჩელებად. არც გ. ზ-სა და არც ჯ. ხ-ეს არ ჩაჰბარებიათ სამოქალაქო სარჩელები, რითიც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე, 184-ე, 188-ე და სხვა მუხლები, ასევე – საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო ნორმები.

გარდა ამისა, კასატორის აზრით, საქართველოს სსკ-ის 25-ე თავის 177-ე მუხლის შენიშვნაში მითითებულია, რომ დიდ ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება 10000 ლარს ზევით. საქართველოში მოქმედებს ერთი ფულადი ერთეული – ლარი. არც ბრალდებას და არც სასამართლოს არ განუსაზღვრავთ, თუ რამდენი ლარია 35000 აშშ დოლარი. ასევე აღსანიშნავია, რომ დოლარის კურსი ლართან მიმართებით არ წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რის გამოც როგორც დიდი ოდენობის, ისე მნიშვნელოვანი ზიანის წაყენებაც მსჯავრდებულებისათვის უსაფუძვლოა, რადგან არ ვიცით ნივთის – დოლარის ღირებულება.

ადვოკატი გ. ო-ი ასევე აღნიშნავს, რომ ჯ. ხ-ე რამდენიმე თვის განმავლობაში პატიოსნად იხდიდა პროცენტებს; მას რომ ჰქონოდა სხვისი ქონების მითვისების განზრახვა, იგი არც პროცენტს და არც ა. პ-ის ვალს არ გადაიხდიდა. მას არ სჭირდებოდა გ. ზ-თან შეთანხმება, რომ თავისი ბინა თავისსავე მეუღლეზე გადაეფორმებინა. უნდა გაუქმდეს გამოძიების პროცესში ნ. გ-ის დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის დადგენილებები, რადგან იგი ქართულ ენას ვერ ფლობს სრულყოფილად. საქმის წარმოების ვერც ერთ ეტაპზე ვერ დადგინდა, რომ გ. ზ-მა და ჯ. ხ-ემ დანაშაული ჩაიდინეს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ყოველგვარი ეჭვი კი უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულების სასარგებლოდ, თანახმად სსკ-ის მე-10 მუხლისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი გ. ო-ი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას, გ. ზ-ისა და ჯ. ხ-ის გამართლებას; ასევე – განაჩენის გაუქმებას სამოქალაქო ნაწილშიც.

დაზარალებულ გ. დ-ას წარმომადგენელი ნ. გ-ა შესაგებლით ითხოვს, არ დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივრების მოთხოვნები და გასაჩივრებული განაჩენი ჯ. ხ-ისა და გ. ზ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ გ. ზ-ს განემარტა მისი, როგორც სამოქალაქო მოპასუხის უფლება-მოვალეობები, გადაეცა მათი ნუსხა, სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ დადგენილებისა და სამოქალაქო სარჩელის ასლი, რაც ხელმოწერით დაადასტურეს გ. ზ-მა და მისმა ადვოკატმა.

კასატორი – ჯ. ხ-ე მიუთითებს, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას არ დაიკითხნენ მის მიერ დასახელებული პირები, თუმცა ამგვარი რამ საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს და მსჯავრდებულს არც სასამართლოში მოუთხოვია მოწმეთა დაკითხვა.

პალატა აღნიშნავს, რომ საქმე არ განხილულა საპროცესო დარღვევით და აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორთა აპელირება უსაფუძვლოა.

გ. ზ-ის ადვოკატი მიუთითებს, რომ ჯ. ხ-ეს არ ჰქონდა სხვისი ქონების მითვისების განზრახვა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არც პროცენტს და არც ა. პ-ის ვალს არ გადაიხდიდა, მაგრამ მოწმეთა ჩვენებებით ა. პ-ს თანხა დაუბრუნა ჯ. ხ-ის მეუღლემ, რ. ბ-მა საარბიტრაჟო დავის შედეგად და მას შემდეგ, რაც ბინა გადაიფორმა თავის სახელზე.

დაზარალებულები განმარტავენ, რომ არ იცოდნენ სესხის უზრუნველსაყოფად მათ სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთულ ბინაზე სხვა იპოთეკის არსებობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში სესხს არ გასცემდნენ.

ჯ. ხ-ე ადასტურებს, რომ მას არ უთქვამს ნ. გ-ისა და გ. დ-ასათვის ბინაზე იპოთეკის არსებობის თაობაზე და აღნიშნავს, რომ მ. ნ-ის ვალი – 26 000 აშშ დოლარი გ. ზ-ის მიერ გადახდილი ეგონა და სცადა, დაკავშირებოდა გ. ზ-ს, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ ჯ. ხ-ე განმარტავს, რომ არ დაინტერესებულა, ვინ გადაიხადა სესხად გაცემული 26 000 აშშ დოლარი, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით მისი ბინა იყო დატვირთული. გარდა ამისა, ჯ. ხ-ე მიუთითებს, რომ მ. ნ-ემ თანხის დიდი ნაწილი გადასცა გ. ზ-ს და სესხის პროცენტიც ამ უკანასკნელს უნდა გადაეხადა, მაგრამ მ. ნ-ე განმარტავს პირიქით – თანხა ორივე შემთხვევაში გადასცა ჯ. ხ-ეს და პროცენტსაც ეს უკანასკნელი იხდიდა მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში.

აღნიშნული ჩვენებიდან გამომდინარე, ჯ. ხ-ე მოატყუა გ. ზ-მა, რომ თითქოს მ. ნ-ის ვალი სრულად გადაიხადა, მაგრამ ეს საკითხი ჯ. ხ-ეს გ. ზ-თან არ გაურკვევია და არც მ. ნ-ესთან უსაუბრია, რადგან «საჭიროდ არ ჩათვალა». ამასთან, მოწმე რ. ბ-ის ჩვენებით, მან 2009 წლის 11 თებერვალს შეიტყო მ. ნ-ის ვალის არსებობის შესახებ და ბინა რომ არ გასხვისებულიყო, იგი თავის სახელზე გაიფორმა.

პალატა აღნიშნავს, რომ საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად მოპოვებული და გამოვლენული მტკიცებულებებით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უტყუარადაა დადასტურებული და ექვს არ იწვევს, რომ მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რაც სამართლებრივად სწორად შეფასდა.

ამასთან, წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი ჯ. ხ-ესა და გ. ზ-ს ჩათვალათ პირობით, 5-5 წლის გამოსაცდელი ვადით, რაც გასაჩივრებული განაჩენით შეიცვალა და ეს ვადა გაგრძელდა.

პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 64-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო გამოსაცდელ ვადას ადგენს პირობითი მსჯავრის დანიშვნისას. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ამავე კოდექსის 67-ე მუხლით დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში ბოლო განაჩენის გამომტანმა სასამართლომ სასჯელი განსაზღვრა სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მას არ დაუნიშნავს პირობითი მსჯავრი და კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ იყო უფლებამოსილი, შეეცვალა წინა განაჩენით დადგენილი გამოსაცდელი ვადა.

გარდა აღნიშნულისა, გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ზ-ის ადვოკატ გ. ო-ისა და მსჯავრდებულ ჯ. ხ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 22 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს: მსჯავრდებულებს – ჯ. ხ-ესა და გ. ზ-ს გამოსაცდელ ვადად საბოლოოდ განესაზღვროთ 5-5 წელი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. შეწყალება

განჩინება

979-აპ-10

19 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშარელი,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ყ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 6 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 17 თებერვლის განაჩენით გ. ყ-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარი. იმავე განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით მის მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც «ამნისტიის შესახებ» 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე მას გაუნახევრდა და გ. ყ-ს განაჩენითა ერთობლიობით სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 9 თვის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 4000 ლარი. იმავე განაჩენით გ. ყ-ს 3 წლის ვადით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველო-

ბის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შემენის, შენახვისა და ტარების უფლება. მსჯავრდებულ გ. ყ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2009 წლის 16 ივლისიდან.

განაჩენით გ. ყ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით გ. ყ-ი დაუსწრებლად გასამართლდა და ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით.

2006 წლის 15 ივნისიდან 2009 წლის 2 აპრილამდე გ. ყ-ი მუშაობდა შპს «...» ცენტრალური საწყობის უფროსის თანამდებობაზე. თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ მან განიზრახა მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, აპრილიდან ივნისამდე პერიოდში ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში, ... ქ. 12-ში მდებარე შპს «...» საწყობიდან დაუფლებოდა დიდი ოდენობის ღირებულების სხვადასხვა ზომის მილებს. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, 2009 წლის 4 აპრილს გ. ყ-მა სატვირთო ავტომანქანა დაიქირავა, რის შემდეგაც შპს «...» საწყობში მივიდა. დარაჯს – 5. დ-ს თავი საწყობის მოქმედ უფროსად წარუდგინა და გაიტანა ... ლარად ღირებული 63 მმ დიამეტრის, პოლიეთილენის 46 მილი. გ. ყ-მა, მოქმედებდა რა ერთიანი განზრახვით, 2009 წლის 10 აპრილს სატვირთო ავტომანქანა დაიქირავა, შპს «...» საწყობში მივიდა, დარაჯი 5. დ-ს თავის უფლებამოსილებაში კვლავ დაარწმუნა და გაიტანა 42 სხვადასხვა სახეობის მილი, სულ ღირებული ... ლარად. 2009 წლის 9 მაისს გ. ყ-მა დაიქირავა სატვირთო ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით «...» და ამწე სახელმწიფო ნომრით «...». შპს «...» საწყობში დღის განმავლობაში ორჯერ მივიდა. დარაჯს გ. ა-ს განუმარტა, რომ საწყობის უფროსი იყო და გაიტანა 114 მმ დიამეტრის, 30 ერთეული მეტალის იზოლირებული მილი, და 168 მმ დიამეტრის, 30 ერთეული მეტალის მილი, სულ ღირებული ... ლარად. 2009 წლის 5 ივნისს გ. ყ-მა 200 ლარის საფასურად კვლავ დაიქირავა დ. ჯ-ს კუთვნილი «...» მოდელის ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით «...», ასევე ა. ხ-ს ამწე, სახელმწიფო ნომრით «...» და დაახლოებით 13.45 საათზე შპს «...» საწობში მივიდა. საწყობის დარაჯს ზ. ხ-ს თავი საწყობის მოქმედ უფროსად წარუდგინა და აჩვენა სასაქონლო ზედნადები, სადაც აღნიშნული იყო, რომ მილები რუსთავის წყალსადენმა შეიძინა, რის შემდეგაც საწყობიდან ამწის დახმარებით «...» მოდელის ავტომანქანაზე დააწყო 9 ცალი 720 მმ-იანი 11,40 მეტრი ლითონის მილი, სულ ღირებული – ლარად. სატვირთო ავტომანქანის მძღოლს დ. ჯ-ს უთხრა, რომ რუსთავის მიმართულებით წასულიყო, თვითონ კი შემთხვევის ადგილიდან მიიძალა, რითაც შპს «...» მიაყენა ... ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. ყ-მა. აპელანტი თავისი საჩივრით ითხოვდა გამართლებას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში იმ მოტივით, რომ გასაჩივრებული განაჩენი არის დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო და ემყარება ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებს. ამასთან, აპელანტი გ. ყ-ი ითხოვდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან გათავისუფლებას, ვინაიდან მან უკვე მოიხადა წინა განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 6 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ გ. ყ-ს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 17 თებერვლის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: გ. ყ-ს გასაჩივრებული განაჩენიდან ამოერიცხა მითითება «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» კანონის შესაბამისად გარკვეული უფლებების ჩამორთმევის თაობაზე იმ მოტივით, რომ საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ჯამდება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით დანიშნული სასჯელები. იმავე განაჩენით გ. ყ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით. მასვე, დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარი, რასაც საქართველოს სსკ-ის 67-ე და 59-ე მუხლების თანახმად, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული და 2008 წლის 21 ნოემბრის და 2009 წლის 20 ნოემბრის «ამნისტიის შესახებ» საქართველოს კანონებით განახევრებული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 1 თვისა და 15 თვის ვადით და გ. ყ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის, 7 თვისა და 15 დღის ვადით, ასევე, ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით. ამასთან, აღნიშნული განაჩენით გ. ყ-ს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი გაუნახევრდა, საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 3 აპრილის 266-ე განკარგულების შესაბამისად. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ყ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს გამართლებას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის შესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით

წარდგენილ ბრალდებაში იმავე მოტივებით, რაზეც უთითებდა სააპელაციო საჩივარში, კერძოდ, კასატორის განამარტებით, საქმის განხილვისას სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსკ-ის 131-ე, 132-ე, 537-ე მუხლებისა და 539-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის მოთხოვნები, რის გამოც აღნიშნული განაჩენი უნდა გაუქმდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. ყ-ს მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ გ. ყ-ს განმარტებას იმის თაობაზე, რომ მას არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება, ვინაიდან საქმეში არსებული მასალებით, მოწმეების – გ. ა-ს, ზ. ხ-ს, თ. ს-ს, ნ. დ-ს, ვ. ხ-სა და დ. ჯ-ის ჩვენებებით, აგრეთვე, ფოტოსურათით ამოცნობის ოქმით, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით უტყუარად არის დადასტურებული, რომ გ. ყ-მა ნამდვილად ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება. გარდა ამისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასჯელის ზომის განსაზღვრისას მხედველობაში იქნა მიღებული გ. ყ-ის პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ასევე შემამსუბუქებელი გარემოებები და განესაზღვრა სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგი მიმართებით: როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 2008 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით გ. ყ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და არა – პირობითი მსჯავრი, როგორც ეს აღნიშნულია პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების განაჩენებში. ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, არასწორია მითითება ამ განაჩენთა სარეზოლუციო ნაწილებში საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლზე.

გარდა ამისა, გასაჩივრებული განაჩენი უნდა დაზუსტდეს გ. ყ-ს მოსახდელად დარჩენილი სასჯელის ნაწილში, კერძოდ: გ. ყ-ს შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 წლით, 10 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც მას დარჩენილი ჰქონდა მისი შეწყალების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 3 აპრილის 266-ე განკარგულების გამოცემის დღისათვის, უნდა გაუნახევრდეს აღნიშნული განკარგულების საფუძველზე და მას სასჯელის საბოლოო ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის, 5 თვისა და 13 დღის ვადით, რომლის ათვლაც უნდა დაეწყოს 2010 წლის 3 აპრილიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ყ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 6 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ამორიცხოს მითითება საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლზე.

ამასთან გ. ყ-ს შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 წლით, 10 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც მას დარჩენილი ჰქონდა მისი შეწყალების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 3 აპრილის 266-ე განკარგულების გამოცემის დღისათვის, გაუნახევრდეს აღნიშნული განკარგულების საფუძველზე და მას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის, 5 თვისა და 13 დღის ვადით, რომლის ათვლაც დაეწყოს 2010 წლის 3 აპრილიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ გ. ყ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

II კერძო ნაწილი

3. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ხულიგნური ქვენაგრძნობით

განჩინება

252-აპ-11

25 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი შავლიაშვილი (თავმჯდომარე)
მაია ოშხარელი,
პაატა სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ს-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ნ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 იანვრის განაჩენით ი. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა 11 წლით; სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით; სსკ-ის 388-ე მუხლის მე-4 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით; სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და ი. ს-ს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლით, რასაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 18 წლით და ი. ს-ს საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 38 წლით. იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 30 აპრილიდან.

განაჩენით ი. ს-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობის მცდელობა, კონტრაქტით სამხედრო სამსახურში მყოფის მიერ სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე დროულად გამოუცხადებლობა, ჩადენილი ერთ თვეზე მეტი ხანგრძლივობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

ი. ს-ე 2009 წლის 26 სექტემბერს, დაახლოებით 15 საათზე, ოზურგეთის რაიონის სოფ. ... ტერიტორიაზე, წყაროზე გაწყობილ სუფრასთან, თანასოფლელებთან – შ. ს-სთან, ლ. მ-სთან, ბ. ჯ-სა და მეგობარ კ. ც-თან ერთად სვამდა ალკოჰოლურ სასმელს. სუფრასთან ი. ს-მ ირონიულად მოიხსენია შ. ს-ს სიძე – რ. ქ-ი, რასაც შ. ს-სა და ი. ს-ს შორის შელაპარაკება მოჰყვა. შ. ს-ზე განაწყენებულმა ი. ს-მ განიზრახა მისი მოკვლა და მის ხელთ არსებული დანა რამდენჯერმე ჩაარტყა შ. ს-ს სახის არეში და შემთხვევის ადგილიდან გაიქცა. რამდენიმე წუთის შემდეგ ი. ს-ე კვლავ დაბრუნდა შ. ს-სთან და თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით კვლავ რამდენჯერმე დაარტყა ამ უკანასკნელს დანა მარცხენა მკლავისა და ბეჭის არეში. მიღებული დაზიანებების გამო შ. ს-ე წაიქცა, ხოლო ი. ს-მ ჩათვალა რა თავისი დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში მოყვანილად, მიატოვა შემთხვევის ადგილი და მიიშალა. მიღებული დაზიანებების შედეგად შ. ს-ს განუვითარდა: სახის არეში, მარცხნივ – ნაკვეთი ჭრილობა სახის ნერვის ტოტის დაზიანებით, რამაც გამოიწვია სახის ასიმეტრია და მიმიკის შეცვლა; მარცხნივ, მხრის სახსრის საპროექციოდ – ნაკვეთი ჭრილობა; სამი მცირე ზომის ჭრილობა ბეჭის ძვლის მიდამოში, მარცხნივ; ნაკვეთი ჭრილობა მარცხნივ, თხემის არეში. მიღებული დაზიანებების გამო შ. ს-ე გადაიყვანეს ოზურგეთის რაიონულ საავადმყოფოში, სადაც მას გაეწია პირველადი სამედიცინო დახმარება, რის შედეგადაც სიკვდილს გადარჩა.

ი. ს-ე 2006 წლის 1 მარტიდან ხელშეკრულების საფუძველზე იყო რა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარების პირველი ქვეითი ბრიგადის საარტილერიო ბატალიონის 120 მმ ნაღმტყორცნელთა ბატარეის პირველი საცეცხლე ოცეულის პირველი ნაღმტყორცნი, 2009 წლის 25 სექტემბერს, 11 საათიდან 28 სექტემბრის 8 საათამდე სამხედრო ნაწილის მეთაურის ბრძანებით გაშვებულ იქნა დათხოვნაში და 2009 წლის 28 სექტემბერს ყოველგვარი საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადდა სამხედრო ნაწილში ერთ თვეზე მეტი ვადით;

მანვე ძებნაში ყოფნის პერიოდში, 2010 წლის 25 აპრილს, სტუმრად ყოფნის დროს, ონის რაიონის სოფ. ...-ში, შორეული ნათესავის – მ. მ-ს სახლში, გაიგნო იმავე სოფელში მცხოვრები და-ძმა – ლ. და თ. მ-ები. 2010 წლის 28 აპრილს, დაახლოებით 14 საათზე, არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნისას, ი. ს-ე მივიდა თ. მ-ის საცხოვრებელ სახლში და მოსთხოვა კარის გაღება, რაზეც უარი მიიღო იმ მოტივით, რომ იგი სახლში მარტო იმყოფებოდა და კარს არ გაუღებდა; იმავე დღეს, დაახლოებით 17 საათზე, სახლში დაბრუნებულ ლ. მ-ს დამ – თ. მ-მ უამბო მომხდარი ფაქტის შესახებ, რის გამოც ლ. მ-

მ გადაწყვიტა საქმის გარკვევის მიზნით ენახა ი. ს-ე და ამ მიზნით პ. ჩ-სთან ერთად დაიწყო ი. ს-ს ძებნა. ისინი ონის რაიონის სოფ. ...-ში, ე.წ. ზედაუბანში შეხვდნენ ი. ს-ს და აღნიშნული ფაქტის გამო მათ შორის მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება. პ. ჩ-ის ქმედებაზე განაწყენებულმა ი. ს-მ შურისძიების მოტივით განიზრახა ამ უკანასკნელის მოკვლა. ამ მიზნით საკუთარი დასაკეცი ტიპის დანა გულმკერდის არეში დაარტყა მას, რის შედეგადაც მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება. მიღებული დაზიანებით გამოწვეული მწვავე სისხლნაკლებობის შედეგად პ. ჩ-ე ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო ი. ს-ე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და თან წაიღო დანაშაულის ჩადენის იარაღიც.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა, რომელმაც ითხოვა ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 იანვრის განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი დაზუსტდა სასჯელის ნაწილში, კერძოდ: ი. ს-თვის ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 17 წელი, 3 თვე, 20 დღე და საბოლოოდ ი. ს-ს სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 37 წლით, 3 თვითა და 20 დღით. მას სასჯელის ათვლა დაეწყო 2011 წლის 11 იანვრიდან. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ი. ს-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ნ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივარში აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით შერაცხულ ბრალდებასთან მიმართებით. კერძოდ, კასატორს მიაჩნია, რომ ამ ნაწილში მსჯავრდებულის ქმედებას მიცემული აქვს არასწორი სამართლებრივი შეფასება. მოწმისა და დაზარალებულის ჩვენებებით, ასევე ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ ი. ს-ს არ ჰქონია დაზარალებულის მოკვლის განზრახვა და შესაბამისად, მსჯავრდებულის ქმედება ამ ნაწილში უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა სრულად, ობიექტურად და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა და ექვს არ იწვევდა.

ი. ს-ის მიერ განზრახ მკვლელობისა და კონტრაქტით სამხედრო სამსახურში მყოფის მიერ სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე დროულად გამოუცხადებლობა, ჩადენილი ერთ თვეზე მეტი ხანგრძლივობით – ჩადენა დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, რასაც არც კასატორი ხდის სადავოდ.

რაც შეეხება სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით შერაცხულ ბრალდებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეზე მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დასტურდება მკვლელობის მცდელობის ფაქტი, კერძოდ:

კასატორი აღნიშნავს, რომ მკვლელობის განზრახვის არსებობის შემთხვევაში, მას დროც ჰქონდა და საშუალებაც, რომ განზრახვა სისრულეში მოეყვანა. აღნიშნულს ადასტურებს დაზარალებული შ. ს-ც, რომელმაც სასამართლო გამოძიებისას აჩვენა, რომ ი. ს-ს ჰქონდა შესაძლებლობა, მისთვის კიდევ მიეყენებინა ჭრილობები, თუმცა ეს არ გააკეთა.

მოწმე ლ. მ-მ აჩვენა, რომ ი. ს-ს ჰქონდა შესაძლებლობა, კიდევ მიეყენებინა ჭრილობა შ. ს-ისთვის და მოეკლა იგი.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2033 დასკვნის თანახმად, შ. ს-ს აღნიშნებოდა მარცხენა ყვრიმალის, მხრისა და მარცხენა ბეჭის მიდამოების ნაკვეთი ჭრილობები, რომლებიც მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ასევე, მიყენებული ჭრილობების სიმრავლითა და ხასიათით არ დასტურდება მკვლელობის განზრახვა. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რადგანაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2569 დასკვნის თანახმად, შ. ს-ისთვის მიყენებული დაზიანება მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, ვინაიდან მან გამოიწვია სახის ასიმეტრია და მიმიკის შეცვლა.

რაც შეეხება მსჯავრდებულის ქმედების მოტივს, დაზარალებულ შ. ს-ის ჩვენებით დასტურდება, რომ ი. ს-ე ლანძღავდა მის სიძეს – რ. ქ-ს, რის გამოც მისცა შენიშვნა და განუმარტა, რომ აღარ სურდა მასთან მეგობრობა, რამაც გამოიწვია ი. ს-ს განაწყენება.

მოწმე კ. ც-ის ჩვენებით დასტურდება, რომ ი. ს-ე შ. ს-ის სიძეს მოიხსენიებდა უცენზურო სიტყვებით, რაზეც შ. ს-მ მისცა შენიშვნა და გააფრთხილა ი. ს-ე, რომ მათ შორის მეგობრული ურთიერთობა აღარ გაგრძელდებოდა, რა დროსაც ი. ს-ე მოულოდნელად მივიდა უკვე ფეხზე მდგომ და სახლში წასასვლელად გამზადებულ შ. ს-სთან, რომელსაც რამდენჯერმე მოუქნია და დაარტყა ხელი თავისა და სახის მარცხენა არეში, რის შემდეგაც შ. ს-ს სახიდან წამოუვიდა სისხლი. მოწმის განმარტებით, შ. ს-ს ი. ს-სთვის არც ფიზიკური და არც სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებები უტყუარად ადასტურებს, რომ ი. ს-მ შ. ს-ს უმნიშვნელო საბაზის საფუძველზე მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. კერძოდ, იგი განაწყენდა შ. ს-ს შენიშვნაზე, შეეწყვიტა მისი სიძის – რ. ქ-ს უცენზურო სიტყვებით მოხსენიება. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ კონფლიქტის წამომწყები იყო მსჯავრდებულის, ხოლო დაზარალებული ცდილობდა, თავიდან აერიდებინა სიტუაციის გამწვავება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ ი. ს-მ შ. ს-ს მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ხულიგნური ქვენაგრძნობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი. ს-ს ქმედება სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე, რაც უდავოდ დასტურდება მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებებით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. ს-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: ი. ს-ის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, ი. ს-ისთვის დანიშნული სასჯელის ნაწილში – დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. თავისუფლების უკანონო აღკვეთა; დაუხმარებლობა

განჩინება

136-აპ-11

30 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ზ. მენიშვილი,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ა-სა და მსჯავრდებულ ს. გ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 11 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 სექტემბრის განაჩენით:

ლ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 115-ე მუხლით – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 129-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. ლ. გ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 24 მარტიდან.

ს. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა« ქვეპუნქტით – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 129-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ს. გ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 24 იანვრიდან.

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სამოქალაქო მოპასუხეებს – ლ. გ-სა და ს. გ-ს დაზარალებულის უფლებამონაცვლე გ. ც-ს სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 15000 ლარის გადახდა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების – ლ. გ-სა და ს. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2010 წლის 22 იანვარს ლ. და ს. გ-ბი, ლ. გ-ს კუთვნილი „მერსედეს-ც« კლასის ავტომანქანით, სახ. ..., მივიდნენ ქ. ..., ... ქუჩა ...-ში არსებულ სლოტ-კლუბში, რომელიც ეკუთვნის ლ. გ-ს ნაცნობ გ. ხ-ს. მისვლისას მათ შეხვდათ ამავე კლუბის მენეჯერი მ. ც-ი, რომელსაც ლ. გ-მა მოსთხოვა, მეპატრონისათვის დაეძახა, რადგან მასთან გასარკვევი ჰქონდა ურთიერთობა. მ. ც-ი დასთანხმდა და შეატყობინა გ. ხ-ს, რომ მას კითხულობდა ლ. გ-ი. რამდენიმე წუთში მ. ც-ი გ. ხ-თან ერთად მივიდა სლოტ-კლუბთან, სადაც ზემოხსენებულმა პირებმა ერთმანეთთან ისაუბრეს. საუბარი შეეხებოდა იმ გარემოებას, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ ლ. გ-მა, მ. ც-ს რჩევით, გ. ხ-თან ერთად 37000 აშშ დოლარად შეისყიდა „...« სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სლოტ-კლუბი, რომელიც ორი თვის მუშაობის შემდეგ გაკოტრდა. ამის შემდეგ ლ. გ-ი ითხოვდა ჩადებული თანხის დაბრუნებას როგორც ლ. ხ-ს, ასევე მ. ც-ს. დაახლოებით 15 წუთში ლ. გ-მა საქეიფოდ წასვლის მოტივით, მ. ც-ს უთხრა, გაჰყოლოდა და ამ გზით დაითანხმა იგი, რის შემდეგაც ზემოხსენებული ავტომანქანის საჭესთან კვლავ დაჯდა ს. გ-ი, გვერდით ჩაუჯდა ლ. გ-ი, ხოლო უკანა სავარძელზე კი – მ. ც-ი. გზაში ლ. გ-მა მ. ც-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ასევე უთხრა, რომ თანხას, რაც მას ჩადებული ჰქონდა სლოტ-კლუბში, აუცილებლად მოსთხოვდა, თან საუბრისას მ. ც-ს კვლავ აყენებდა შეურაცხყოფას. ავტომანქანაში ლ. გ-მა განაცხადა, რომ უნდა ასულიყვნენ თბილისის ზღვაზე საქმის გასარჩევად, რაზეც მ. ც-მა მოსთხოვა მათ, გაეჩერებინათ ავტომანქანა, რაც ს. გ-მა და ლ. გ-მა არ შეასრულეს და წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება მ. ც-ს და არ მისცეს მას ავტომანქანიდან გადასვლის საშუალება. ლ. გ-ი განაგრძობდა შეურაცხყოფის მიყენებას. ამგვარი ქმედებით მ. ც-ი მიიყვანა თვითმკვლელობამდე. ამ დროს ისინი მოძრაობდნენ ... ქუჩაზე, სადაც რესტორან „...« მიმდებარე ტერიტორიაზე მ. ც-ი, თვითმკვლელობის მოტივით, მიმავალი ავტომანქანიდან გადახტა, რა დროსაც მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები. აღნიშნული შენიშნეს ს. გ-მა და ლ. გ-მა. მიუხედავად ამისა, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ მ. ც-ს არ აღმოუჩინეს აშკარად აუცილებელი, გადაუდებელი დახმარება და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მ. ც-ი კი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 11 იანვრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ლ. გ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. ა-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ ლ. გ-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არ ასახავს კანონის მოთხოვნებს, მას არანაირად არ შეიძლება უწოდო კანონიერი და დასაბუთებული, ვინაიდან როგორც წინასწარი გამოძიება, ასევე სასამართლო განხილვა წარმართა არასრულად, არაობიექტურად და ცალმხრივად, არსებული კანონმდებლობის უხეში დარღვევებით. ლ. გ-ს დამნაშავედ ცნობა არ გამომდინარეობს საქმეზე შეჯერებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან.

კასატორის განმარტებით, ლ. გ-ი სასამართლომ ცნო საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში დამნაშავედ, მაშინ, როდესაც მოცემულზე არანაირი, თვით ე.წ. ირიბი მტკიცებულებაც კი არ არსებობდა და არ არსებობს დღესაც.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, თითქოსდა ლ. გ-მა თვითმკვლელობამდე მიიყვანა მ. ც-ი და ის იძულებული გახდა, გადამხტარიყო ა/მანქანიდან მისივე მოსაზრებით, აღნიშნული არ დასტურდება სწორედაც მტკიცებულებათა არარსებობის გამო. სსკ-ის 115-ე მუხლის ობიექტური მხარე ნათლად ასახავს შემდეგს: ის ხასიათდება მსხვერპლის თვითმკვლელობამდე მიყვანით ან მის ცდამდე მიყვანის მუქარით, სასტიკი მოპყრობით ანდა მისი პატივის, ღირსების სისტემატური დამცირებით და კანონმდებელი ასეთი ტიპის დანაშაულის დახასიათებისას უთითებს მის გამოყენების ხერხზეც, რომლის მეშვეობითაც ხდება დანაშაულის ჩადენა. ვერც ერთი მოწმე,

არც ერთი მტკიცებულება არ არსებობს იმის თაობაზე, რომ ა/მანქანიდან სწორედაც თვითმკვლელობის მიზნით გადახტა მ. ც-ი, ხოლო თვითმკვლელობამდე კი მიიყვანა ლ. გ-მა და ა/მანქანიდან გადახტომა ნამდვილად არ ნიშნავს იმ გარემოებას, რომ სწორედაც თავის მოკვლა სურს ადამიანს.

მსჯავრდებული ს. გ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას; საქმეზე გამოტანილი განაჩენი არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან და დამყარებულია მტკიცებულებათა არათუ ურთიერთშეთანხმებულობაზე, არამედ ხშირ შემთხვევაში – არასწორ ინტერპრეტაციაზე. არათუ პირდაპირი, ევენტუალური მტკიცებულებების შეკრებაც ვერ მოხერხდა წინასწარი გამოძიების პროცესში და შემდგომ საქმის პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში. არ იქნა გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის მიზანი. კასატორის განმარტებით, თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემადგენლობა და თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდება აბსურდულია.

კასატორი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს დაუხმარებლობაში. დაუხმარებლობის ბრალდებას აქარწყლებს ისიც, რომ მსგავსი დანაშაულის შემადგენლობა ხორციელდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, ანუ პირმა უნდა იცოდეს, რომ სხვა პიროვნებას ნამდვილად სჭირდება მისი დახმარება და ეს დახმარება მოცემულ მომენტში გადაუდებელი და აუცილებელია. მისი მოსაზრებით, ობიექტურად მოცემულ შემთხვევაში, როგორც შემდგომ გაირკვა, მართლაც აუცილებელი და გადაუდებელი იყო მისი დახმარება, მაგრამ ფაქტის დადგომის დროს ამის გაცნობიერება არ შეეძლო. ამის გამო შემდეგში ლ-საც კი არ დაურეკავს ამბების გასაგებად. თავის მხრივ, ლ-მაც არაფერი აცნობა და როგორც ლ-მ შემდგომ ახსნა, „ჩემი შეხედულებით, ს. იმდენად უდანაშაულო იყო, რომ არც კი წარმოედგინა მისი პასუხისმგებლობის დაყენების შესაძლებლობა და, ამდენად, არც ჩავთვალე საჭიროდ ც-ს მიმართ დამდგარი შედეგის მისთვის შეტყობინება». რადგან იგი მ. ც-ს არც იცნობდა, შემთხვევის დამეს პირველად ნახა და არანაირი მოტივი არ შეიძლება მისთვის თავისუფლების აღსაკვეთად ჰქონოდა, ან, მითუმეტეს, დახმარების გაწევის აუცილებლობა რომ ენახა, უდაოდ დაეხმარებოდა. მისი პიროვნებიდან გამომდინარე, ლ. არც დაუძახებდა ასეთ დანაშაულში თანამონაწილეობის მისაღებად, მითუმეტეს, რომ მასაც ეს განზრახვა არ ჰქონია.

კასატორის განმარტებით, განაჩენით არ არის დადგენილი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი – უნდა დასჯილიყო თუ არა, იყო თუ არა საერთოდ ს. გ-ს ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, ანუ სსკ-ით გათვალისწინებული ქმედება. ბრალდებას არ გააჩნია არც ერთი მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადგენდა მის ბრალეულობას, მაშინ, როდესაც მთელი რიგი მტკიცებულებებისა და სამართლის პრინციპებისა, რომლითაც სამართალდამცავ ორგანოებს უნდა ეხელმძღვანელათ, უხეშად იქნა უარყოფილი და შედეგად, ბრალდებაც არშემდგარი მტკიცებულებების მხედველობაში მიღებით, სასამართლოს განაჩენშიც აისახა. სააპელაციო ინსტანციის განაჩენი გამოტანილ იქნა კანონის არსებითი დარღვევით, მტკიცებულებათა არასრულად და ცალმხრივად გამოკვლევის საფუძველზე და შედეგად, საქართველოს სახელით უსამართლოდ და კანონდარღვევით აღეკვეთა თავისუფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების მოტივს მსჯავრდებულების – ლ. და ს. გ-ს უდანაშაულობის შესახებ, რადგან გასაჩივრებული განაჩენი მსჯავრდებულების საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტითა და 129-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში ეყრდნობა საქმეში არსებულ არაერთ უტყუარ მტკიცებულებას, მათ შორის: დაზარალებულის უფლებამონაცვლე გ. ც-ს, მოწმეების – გ. ხ-ს, რ. ბ-ს, ი. ჭ-სა და სხვათა ჩვენებებს, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, სასამართლო-სამედიცინო და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებს, ექსპერტის ... და .../სქ დასკვნებს, რომელთა შესახებ ამომწურავად იმსჯელა სასამართლომ და ამ ნაწილში მსჯავრდებულების – ლ. და ს. გ-ების მიმართ დაადგინა დასაბუთებული განაჩენი, კერძოდ:

საკასაციო პალატამ შეაჯერა რა ს. გ-ს მიერ წინასწარ გამოძიებაში შეტანილ განცხადებაში მითითებული გარემოებები, აგრეთვე მისი და ლ. გ-ს სასამართლო სხდომებზე მიცემულ ჩვენებებსა და სხდომაზე გამოკვლეულ სხვა მტკიცებულებებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, თვლის, რომ როგორც ს. გ-ი, ასევე ლ. გ-ი ბოლომდე არ არიან გულწრფელნი სასამართლოს წინაშე და არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი ჩვენებებით ცდილობენ, როგორმე მდგომარეობა შეიმსუბუქონ, კერძოდ:

ს. გ-მა სასამართლო პროცესზე უარი განაცხადა წინასწარ გამოძიებაში მოწმისა და შემდეგ ბრალდებულის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენებების გამოქვეყნებაზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე გამოქვეყნდა მისი განცხადება. ს. გ-ი ამ განცხადებით ცდილობს, უარყოს და გააბათილოს მის მიერ მოწმის სახით დაკითხვისას მითითებული მთელი რიგი გარემოებები. განცხადებაში ს. გ-მა უარყო მოწმის სახით დაკითხვისას მიცემულ ჩვენებაში მის მიერვე აღნიშნული გარემოება,

რომ ლ. გ-ი მ. ც-ს ემუქრებოდა ან აგინებდა. მანვე დაადასტურა ის გარემოება, რომ ლ. გ-მა მას მიუთითა, ავტომანქანა წაეყვანა ..., ანუ ... ასეთი მითითება ს. გ-მა თავის განცხადებაში ახსნა იმით, რომ მ. ც-ი თემქაზე ცხოვრობდა, რის შესახებაც მან შემდეგ გაიგო და როგორც ის ვარაუდობს, მ-მა, ალბათ, ითხოვა სახლში მიყვანა. როგორც აღნიშნული განცხადებიდან ირკვევა, ... ქუჩაზე ავლისას, რესტორან „...» სიახლოვეს, მ. ც-მა მას უთხრა, რომ მანქანა შეეჩერებინა. მან ჩათვალა, რომ მ-მა გაჩერება სთხოვა რესტორანში შესვლის მიზნით. მან დაიწყო მანქანის დამუხრუჭება. იგი მოძრაობდა დაახლოებით 20-30 კმ/სთ სიჩქარით, როდესაც მან იგრძნო მანქანის მარცხენა კარის გაღება და მიხეილის გადასვლა. იქვე, რესტორნის წინ, დალანდა სამი პიროვნება და ისინი ჩათვალა მ-ს დამხვდურებად. ლ. გ-მა იმის გასარკვევად, თუ რატომ გადავიდა იგი მანქანიდან და რა მიზნით, დაურეკა მ-ს სამსახურის უფროსს – გ. ხ-ს და სთხოვა მას საქმის ვითარებაში გარკვევა. ამჟამად ფიქრობს, რომ მას ყველა შემთხვევაში უნდა გაეჩერებინა მანქანა, დაეტოვებინა მფლობელისათვის და ზუსტად გაერკვია სიტუაცია.

პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების სხდომებზე დაკითხვებისას ს. გ-მა არსებითად შეცვალა ზემოთ მითითებული გარემოებები. ს. გ-მა განსასჯელისა და მსჯავრდებულის სახით დაკითხვებისას უჩვენა, რომ მათ გზაში გადაწყვიტეს რესტორან „...» წასვლა. ... ასახვევს რომ გასცდა, ლ-მ ჰკითხა, თუ სად მიდიოდა. მან უპასუხა, რომ ... მიდიოდა და მანქანების ბაზრობის მხრიდან გადავიდოდა ... სანაპიროზე, რაც მას არ მოეწონა და უთხრა – «რა კრუგებს მარტყმევიწებ, აქედანვე შევსულიყავითო». მ-მა უპასუხა: «რა მოხდა ... გადავალთო». ამაზე ლ. მ-ს უთხრა: „რა გინდა, შეჩემო, რა ტვინი შეჭამე, შენ უნდა მასწავლო საიდან წავიდეო» და გააგრძელა გზა. სასტუმრო „...» მანქანა, ალბათ, 60 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა. მ. ც-მა მას უთხრა, რომ გაეჩერებინა მანქანა, მან დაიწყო მანქანის მოძრაობის შენელება, რა დროსაც გაიგო უკანა კარის გაღების ხმა და თვალი მოჰკრა, თუ როგორ გადახტა მ-ი. მას მიაჩნია, რომ მ-ი გადახტა, ვინაიდან მანქანა ბოლომდე გაჩერებული არ ჰყავდა. მას სურდა მანქანის გაჩერება, მაგრამ ლ-მ გაიხედა უკან და უთხრა – «წადი, მ. წამოდგა და ფეხზე დგასო». მას მ-ს დაცემისა და ფეხზე წამოდგომის მომენტი არ დაუნახავს, ვინაიდან მანქანას გვერდითი სარკეები არ ჰქონდა. მას გ-სთან არ დაურეკავს, მ-სათვის დარეკვა და სიტუაციის გარკვევა არ უთხოვია. გზაში ლ-მ უთხრა, რომ გ-სთან უნდა დაერეკა, რომელსაც სატელეფონო საუბარში ლ-მ უთხრა, რომ მ-ი მანქანიდან გადახტა და რომ დაერეკა მასთან და გაერკვია, თუ რატომ გადახტა მანქანიდან. ამის შემდეგ მან ლ-მ მიიყვანა სახლში. მისი აზრით, მ-ს გადახტომის მიზეზი გახდა ლ-ის მხრიდან მ-ს მიმართ წარმოუქმელი უცენზურო სიტყვები. მისი ჩვენებით, მას ბოლომდე არ ჰყავდა გაჩერებული მანქანა, მაგრამ, ვინაიდან დაიწყო სიჩქარის შენელება, მ-მა ჩათვალა, რომ მანქანა გაჩერებული იყო, ვერ გათვალა და ეცადა მანქანიდან გადმოსვლას.

სასამართლო სხდომებზე დაკითხვებისას მსჯავრდებულმა ლ. გ-მა დაადასტურა ს. გ-ს ჩვენებებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. როგორც ს. გ-მა, ასევე ლ. გ-მა განაცხადეს, რომ მათ არ ჩაუდენიათ თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მათ გზაზე რამდენჯერმე გააჩერეს ავტომანქანა როგორც შუქნიშანთან, ასევე – საწვავის ჩასხმის დროს და მ. ც-ს არ უცდია მანქანიდან ჩასვლა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულთა განმარტებას იმის თაობაზე, რომ მათ არ ჩაუდენიათ თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რომ მათ გზაზე რამდენჯერმე გააჩერეს ავტომანქანა როგორც შუქნიშანთან, ასევე საწვავის ჩასხმის დროს და მ. ც-ს არ უცდია მანქანიდან ჩასვლა. ამ მიმართებით საკასაციო პალატა თვლის, რომ სწორია პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების დასკვნა იმის თაობაზე, რომ მ. ც-ი სწორედ მაშინ გადახტა მოძრავი ავტომანქანიდან, როდესაც ისინი მოძრაობდნენ მისი ნების საწინააღმდეგოდ და მასზე ლ. გ-ი ახორციელებდა მორალურ ზეწოლას.

საკასაციო პალატა მთლიანად ეთანხმება ამ ეპიზოდში წინა სასამართლოების მსჯელობას და მოტივაციას მსჯავრდებულების ქმედებაში ამ დანაშაულებრივი ქმედების ნიშნების არსებობის თაობაზე. ამასთან, საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ, როგორც თავად მსჯავრდებულების ჩვენებიდან ირკვევა, მ. ც-მა მას შემდეგ, რაც ლ. გ-მა მას შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა და განცხადების მიხედვით, მან ს. გ-ს ... წასვლა უბრძანა, რაც შეცვალა ს. გ-მა შემდგომ ჩვენებებში იმაზე მითითებით, რომ თითქოს მას ლ. გ-მა რესტორან «...» წასვლა სთხოვა, სწორედ ამის გამო მ. ც-მა მოსთხოვა მას, ე.ი. ს. გ-ს მანქანის გაჩერება. პალატას მიაჩნია: როგორც ს. და ლ- გ-ები აღნიშნავენ, ს. გ-ს მართლაც რომ დაეწყო 60-80 კმ/სთ-ით მოძრავი მანქანის სიჩქარის შენელება, უფრო მეტიც, ს-ს სიტყვებიდან გამომდინარე, მართალია, მას ბოლომდე არ ჰყავდა გაჩერებული მანქანა, მაგრამ, ვინაიდან დაიწყო სიჩქარის შენელება, მ-მა შეიძლება ჩათვალა, რომ მანქანა იყო გაჩერებული, მაშინ ასეთ შემთხვევაში მანქანის თითქმის გაჩერება თუ არა, შენელება მაინც აშკარად შესამჩნევი იქნებოდა, რის გამოც მ. ც-ი დაელოდებოდა თავისი მოთხოვნის ბოლომდე შესრულებას, ანუ ავტომანქანის გაჩერებას და შემდეგ გადავიდოდა მანქანიდან. მსჯავრდებულების მიერ წარმოდგენილი ასეთი ვერსია არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან ფაქტია, რომ მ. ც-მა გაალო მოძრავი ავტომანქანის კარი და გადახტა სწორედ იმიტომ, რომ მისი მოთხოვნა არ შესრულდა და მან სცადა, მანქანიდან გადახტომით მოეპოვებინა თავისუფლება. ასევე, საქმეზე წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნები ადასტურებს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მ. ც-ი გადახტა მოძრავი და არა «შენელებული, თითქმის გაჩერებული» მანქანი-

დან, რა დროსაც მან მიიღო მრავლობითი დაზიანებები სხეულის სხვადასხვა ადგილას, კერძოდ: სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნის მიხედვით, მ. ც-ს სხეულზე განვითარებული ტრავმები შეუძლებელია, ადამიანს მიეღო თითქმის გაჩერებული მანქანიდან გადმოსვლისას. იმავე დასკვნით, მ. ც-ს გვამს არ ეტყობოდა ავტომანქანის საბურავის კვალი.

სსიპ „ლ. ს-ს სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს« 2010 წლის 5 თებერვლის ექსპერტის 80/33 დასკვნის თანახმად, დადგენილია, რომ «მ. ც-ს სიკვდილის უშუალო მიზეზია თავის ტვინის ნივთიერების დაჟეჟილობა, შემუშება, ღეროს დისლოკაცია და ჩაჭედვა კეფის დიდ ხვრელში, განვითარებული ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის შედეგად, ქალა-სარქველის და ფუძის ძვლების მრავალფრაგმენტოვანი მოტეხილობით, ქალას ღრუში და ტვინის ნივთიერებაში დიფუზური სისხლჩაქცევებით».

მ. ც-ს გვამის გამოკვლევისას ნანახია სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები: ქალას სარქველის და ფუძის ძვლების მრავალფრაგმენტოვანი მოტეხილობა, ქალას ღრუში და ტვინის ნივთიერებაში დიფუზური სისხლჩაქცევებით; თავის ტვინის ნივთიერების დაჟეჟილობა, შემუშება, ღეროს დისლოკაცია და ჩაჭედვა. დაზიანებანი განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედების შედეგად, განეკუთვნებიან სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს და არიან პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან.

ექსპერტის 80 დასკვნის მონაცემებით, მ. ც-ს გვამს გამოკვლევისას ასევე აღენიშნებოდა სხვა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები: ცხვირის ძვლების მოტეხილობა, ორივე თვალბუდის მიდამოში და მარცხენა ყურის ნიჟარის ირგვლივ – სისხლნაჟღენთები, მარცხენა თვალის ლორწოვანზე – მოწითალო ფერის სისხლჩაქცევა, შუბლის, მარცხენა ბეჭის, ორივე მტევნის, ორივე მუხლის სახსრის მიდამოში – ნაჭდევი. აღნიშნული დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედების შედეგად, იზოლირებულად აღებული განეკუთვნებიან დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს და სიკვდილის გამოწვევა არ შეეძლოთ. კონკრეტულად თუ რა ვითარებაში მიიღო მ. ც-მა სხეულზე არსებული დაზიანებები, ამის დადგენა ექსპერტიზას არ შეუძლია. არ არის გამორიცხული დაზიანებების განვითარება გამოწვეულიყო მოძრავი ავტომობილიდან ვარდნის შედეგად მისი შემდგომი ინერციული გადაადგილებით, თუმცა ამის კატეგორიული მტკიცება ექსპერტიზას არ შეუძლია; მ. ც-ს გვამს სხეულზე ავტომობილის საბურავის პროტექტორის კვალი არ აღენიშნება.

საკასაციო პალატა ასევე თვლის, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული მსჯავრდებულების – ს. და ლ. გ-ების საკასაციო საჩივრების მოთხოვნები იმის თაობაზე, რომ მათ მიმართ შეწყდეს სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსკ-ის 129-ე მუხლით შერაცხულ ბრალდებაში, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოწმე გ. ხ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2010 წლის 21 იანვარს მას დაურეკა ლ. გ-მა და „დაპანიკებული ხმით« უთხრა, რომ იგი, ს. გ-ი და მ. ც-ი მანქანით მოძრაობდნენ ... მიმართულებით. გზაში საუბრობდნენ, არ უკამათიათ, რა დროსაც ... ქუჩაზე მოულოდნელად მ. ც-მა გააღო მანქანის კარი და მანქანიდან გადახტა. ლ. გ-მა უთხრა, რომ დაიბნა და მანქანა არ გაუჩერებია. მას სთხოვა, მოეკითხა მ. ც-ი. იგი შეეკითხა ლ. გ-ს, თუ რატომ არ გააჩერა მანქანა, რაზეც მან ვერაფერი უპასუხა და ტელეფონი ს. გ-ს გადასცა, რომელმაც დაუდასტურა მომხდარის შესახებ, თუმცა, ვერც მან გასცა პასუხი, თუ რატომ არ გააჩერეს მანქანა.

პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო პალატის სხდომებზე დაკითხვებისას მსჯავრდებულ ლ. გ-ს ჩვენებების თანახმად, მ. ც-ს მანქანიდან გადახტომის შემდეგ მან გაიხედა მანქანიდან და დაინახა, რომ მ. ც-ი ფეხზე იდგა და ივარაუდა, რომ მას დასახმარებელი არაფერი სჭირდა. მ. ც-ს მოქმედებაზე ივარაუდა, რომ მისი სიტყვები ეწყინა და ამიტომ მოიქცა ასე. ვინაიდან მას არ ჰქონდა მ. ც-ს ტელეფონის ნომერი, დაუკავშირდა გ. ხ-ს, უთხრა, რაც მოხდა და სთხოვა მოეკითხა მისი ამბავი, თუმცა, როგორც გ. ხ-საგან გაიგო, მ. ც-ი ტელეფონს არ პასუხობდა.

ამავე სხდომებზე მსჯავრდებულ ს. გ-ს დაკითხვისას მიცემული ჩვენებების თანახმად, მანქანა ბოლომდე გაჩერებული არ ჰყავდა, როდესაც გაიგო უკან კარის ხმა და დაინახა მ. ც-ს სილუეტი, რომელიც მანქანიდან «გადადიოდა», სავარაუდოდ – გადახტა. მან უკან ვერ გაიხედა, ვინაიდან მანქანას გვერდითი ხედვის სარკეები არ ჰქონდა. ლ. გ-მა გაიხედა და უთხრა, რომ მ. ც-ი ფეხზე იდგა და გზა გაეგრძელებინა. დაახლოებით 2-3 წუთში ლ. გ-მა დაურეკა გ. ხ-ს და უთხრა მომხდარის შესახებ.

მსჯავრდებული ს. გ-ი როგორც წინა სასამართლოების სხდომებზე, ასევე საკასაციო საჩივრით თავს არ ცნობს დამნაშავედ ამ ეპიზოდშიც და ითხოვს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, თუმცა, სასამართლო პროცესებზე მიცემული, ზემოაღნიშნული ჩვენებებისაგან განსხვავებით, მან საკასაციო საჩივარში დაადასტურა ის გარემოება, რომ მას შემდეგ, რაც ლ. გ-ი დაელაპარაკა გ. ხ-ს და უთხრა, რომ მ. ც-ი მანქანიდან გადავიდა და იქნებ წაეყვანათ; ლ-ს გაუჭირდა ზუსტად მიეთითებინა გ-სათვის მ-ს გადასვლის ადგილი და მან აუხსნა მ-ს მანქანიდან გადასვლის ადგილი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების – ს. და ლ. გ-ების პოზიციები საქართველოს სსკ-ის 129-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე ეწინააღმდეგება თავად მსჯავრდებულ ლ. გ-ს პოზიციას, რომელმაც სააპელაციო სასა-

მართლოში საქმის განხილვისას ამ ნაწილში თავი დამნაშავედ ცნო და ასევე – მოწმე გ. ხ-ს ჩვენებას, რომელმაც აღნიშნა, რომ მ. ც-ს მანქანიდან გადახტომის შემდეგ მას დაურეკა ლ. გ-მა და შეატყობინა მომხდარის შესახებ, ასევე ესაუბრა ს. გ-საც. საგულისხმოა ის გარემოება, რომ თუკი მ. ც-ი თითქმის გაჩერებული მანქანიდან გადმოვიდა, ფეხზე წამოდგა, მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა და ამის გამო მათ გააგრძელეს გზა, მაშინ საინტერესოა, თუ რატომ დაურეკეს გ. ხ-ს და რატომ უთხრეს, რომ მ. ც-ი მანქანიდან გადმოხტა და სთხოვეს, მოეკითხა იგი, ხოლო ლ. გ-მა გ. ხ-თან დარეკვა კი იმით ახსნა, რომ მას არ ჰქონდა მ. ც-ს ტელეფონის ნომერი, მასთან რომ დაერეკა, თუმცა, საინტერესოა, რაში დასჭირდათ მათ გ. ხ-თან დარეკვა, როცა შეეძლოთ გაეჩერებინათ მანქანა და თვითონ მოეკითხათ მ. ც-ი.

საკასაციო პალატა ასევე თვლის, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნის თანახმად დადგენილი, მ. ც-სათვის მიყენებული ტრავმები შეუძლებელია, ადამიანს მიეღო თითქმის გაჩერებული მანქანიდან გადმოსვლისას. იმავე დასკვნით მ. ც-ს გვამს არ ეტყობოდა ავტომანქანის საბურავის კვალი. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ტრავმა მას მიყენებული აქვს ავტომანქანიდან გადმოხტომისას, რაც მსჯავრდებულებმა კარგად იცოდნენ; მათ ასევე კარგად იცოდნენ, თუ რა საშიშროება და საფრთხე ემუქრებოდა მის სიცოცხლეს, მაგრამ, პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით, არ გაუწიეს დახმარება, მიიმაღლნენ შემთხვევის ადგილიდან და დაურეკეს გ. ხ-ს, რათა მოეკითხა მ. ც-ი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულებმა – ს. გ-მა და ლ. გ-მა ჩაიდინეს თავისუფლების უკანონო აღკვეთა და დაუხმარებლობა.

ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ლ. გ-ს ბრალდება იმ ნაწილში, რომლის მიხედვითაც, მან თითქოს ჩაიდინა სსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, არ არის დადასტურებული და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან.

საქმის მასალებიდან გამომდინარე, არ დასტურდება როგორც ლ. გ-ს განზრახვა მ. ც-ს თვითმკვლელობამდე მიყვანისა, ასევე ის გარემოებაც, რომ მ. ც-ი თავის მოკვლის მიზნით გადახტა მანქანიდან. პირიქით, მას შემდეგ, რაც ს. გ-მა და ლ. გ-მა არ დააკმაყოფილეს მისი მოთხოვნა, არ გაუჩერეს მანქანა და არ მისცეს მანქანიდან გადასვლის საშუალება, მან მათგან თავის დაღწევა და თავისუფლების მოპოვება სცადა მანქანიდან გადახტომით, რა დროსაც მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები, რასაც მისი სიკვდილი მოჰყვა და რაც ვერ ჩაითვლება თვითმკვლელობამდე მიყვანად.

ამდენად, მსჯავრდებული ლ. გ-ი უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს ამ მუხლით დაწინაშეული სასჯელი.

მსჯავრდებულ ლ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და 129-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ს. გ-ს მიმართ დაწინაშეულ სასჯელს, სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დაწინაშევისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ს. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ლ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ა-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 11 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მსჯავრდებულ ლ. გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

მსჯავრდებულ ლ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, 129-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

ქურდობა

განჩინება

1149-აპ-10

10 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე)
მ. ოშხარელი,
დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. ქ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ისა და მსჯავრდებულ ლ. რ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. თ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის განაჩენით ლ. გ-ი ცნობილ იქნა დანაშაულები და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით (2009 წლის 5 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 3500 ლარი, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით (2009 წლის 10 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით (2009 წლის 26 ივნისის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 3500 ლარი, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით (2009 წლის 13 ივლისის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით; მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებითი სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 3500 ლარი, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით (2009 წლის 16 ივლისის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით; მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებითი სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 3500 ლარი, სსკ-ის 151-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, სსკ-ის 353-ე მუხლის I ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, სსკ-ის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ველი და 1¹ ნაწილების შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით (2009 წლის 5 მარტის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულ სასჯელს – თავისუფლების აღკვეთას 5 წლის ვადით და დამატებით სასჯელს – ჯარიმას 3500 ლარის ოდენობით – დაემატა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით (2009 წლის 10 მარტის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და დამატებითი სასჯელი ჯარიმა – 3500 ლარი, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით (2009 წლის 26 ივნისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და დამატებითი სასჯელი – ჯარიმა – 3500 ლარი, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით (2009 წლის 13 ივლისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და დამატებითი სასჯელი – ჯარიმა – 3500 ლარი, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით (2009 წლის 16 ივლისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და დამატებითი სასჯელი – ჯარიმა – 3500 ლარი, სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 8 თვის ვადით, სსკ-ის 353-ე

განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 22 წლის ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმა 21 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებულ თ. ქ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა 2009 წლის 16 ივლისიდან.

განაჩენით ლ. გ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ბინაში უკანონო შეღწევით, არაერთგზის;

მანვე ჩაიდინა ქურდობა, ე. ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, არაერთგზის;

მანვე ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, არაერთგზის;

მანვე ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობის მუქარა;

მანვე ჩაიდინა პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლისა და შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით;

მანვე ჩაიდინა 21 წლის ასაკს მიუღწეველი და განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 1 დეკემბერს რუსთავის საქალაქო სასამართლომ ლ. გ-ი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაუთვალა პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით.

მიუხედავად ამისა, ლ. გ-ი არ დაადგა გამოსწორების გზას და პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ: 2009 წლის მარტის დასაწყისში იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა წინასწარი გამოძიებით დაუდგენელ პირს და ერთად განზრახეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 5 მარტს, დღის საათებში, მივიდნენ ქ.თბილისში, ქვემო ფონიჭალაში მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ი. თ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნეს ბინის კარი, ისარგებლეს იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლნენ ი. თ-ის კუთვნილ: 1) 500 ლარად ღირებულ, მსხვილად ნაქსოვ «ბისმარკის» ოქროს ჯაჭვს ნალის ფორმის ოქროსივე კულონით; 2) 300 ლარად ღირებულ, წვრილად ნაქსოვ ჯაჭვს პატარა ზომის ოქროს ჯვრით; 3) 1000 ლარად ღირებულ ოქროს საათს ოქროს სამაჯურით; 4) 100 ლარად ღირებულ ოქროს საათს სამაჯურის გარეშე; 5) 300 ლარად ღირებულ ქარვის თვლიან ოქროს ბეჭედს; 6) 200 ლარად ღირებულ ოქროს ბეჭედს ცირკონის 3 თვლით; 7) 150 ლარად ღირებულ ოქროს ბეჭედს ცირკონის 1 თვლით; 8) 300 ლარად ღირებულ, ლალისთვლიან ოქროს ბეჭედს ოქროს ფოთლების გამოსახულებით; 9) 150 ლარად ღირებულ ვერცხლის ბეჭედს 2 მწკრივად განლაგებული მოწითალო ფერის თვლებით; 10) 150 ლარად ღირებულ, გრეხილი ფორმის ვერცხლის ჯაჭვს; 11) 10 ლარად ღირებულ, კრემისფერ უბრალო ქვისაგან დამზადებულ მძივს; 12) 10 ლარად ღირებულ, ოქროსფერ ბადურაში ჩასმულ, გულის ფორმის სუნამოს ფლაკონს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. აღნიშნულმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 3170 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ ლ. გ-მა კვლავ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 10 მარტს, დღის საათებში, მივიდა ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე დ. ც-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნა ბინის კარი, ისარგებლა იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა დ. ც-ის კუთვნილ: 1) 1 რგოლის ფორმის გრეხილ ვერცხლის ბეჭედს; 2) 1 რგოლის ფორმის ვერცხლის ბეჭედს 3 ცირკონის თვლით; 3) 1 რგოლის ფორმის ვერცხლის ფართო ბეჭედს 3 თეთრი ცირკონის თვლით; 4) 1 ვერცხლის ბეჭედს მწვანე თვლით; 5) 1 შავი ტყავის ქურთუკს; 6) ერთ ე.წ. «დუბლიონკას»; 7) მუსიკალური ცენტრის 5 დისკს; 8) 1 ვიდეოკასეტას წარწერით «მ-ს ზ-საგან»; 9) ქალის 2 ნახევრად სავსე სუნამოს წარწერით « ისო»; 10) 2 ოქროს ბეჭედს მწვანე თვლებით – საერთო ღირებულებით 1549 ლარი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ლ. გ-ის ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 1549 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ ლ. გ-მა კვლავ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 26 ივნისს, დღის საათებში, მივიდა ქ.თბილისში, ზემო ფონიჭალაში მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ქ. დ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნა ბინის კარი, ისარგებლა იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისა-

კუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ქ. დ-ის კუთვნილ: 1) 10 ლარად ღირებულ, ფერადი ბურთულეებით გაწყობილ ვერცხლის სამაჯურს; 2) 50 ლარად ღირებულ საყურეს ოქროსფერი თვლებით; 3) 10 ლარად ღირებულ, ლითონის სამზარეულო «მამას» და შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. ლ. გ-ის ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 70 ლარის მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ ლ. გ-ი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ნაცნობებს – თ. ქ-სა და ლ. რ-ს. მათ შექმნეს პირთა ჯგუფი და ერთად განიზრახეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი 2009 წლის 13 ივლისს მივიდნენ ქ.თბილისში, ..., მე-.../ა მ/რნ-ში მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ე. ბ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნეს ბინის კარი. ისარგებლეს იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლნენ ე. ბ-ის კუთვნილ: 1) კომპიუტერის მონიტორს, პროცესორს, ვიდეოთვალს და 3 დინამიკს; 2) ციფრულ ფოტოაპარატს; 3) ანტიკვარულ ლითონის საფერფლეს «სფინქსის» გამოსახულებით; 4) ოქროსფერ საყურეებსა და ვერცხლისფერ ბეჭედს; 5) მამაკაცის ვერცხლისფერ საათს ვერცხლისფერივე სამაჯურით; 6) «საქართველოს ბანკის» სახელფასო პლასტიკურ ბარათს; 7) მამაკაცისა და ქალის სუნამოებს და შემთხვევის ადგილიდან მიიძალნენ. მათმა დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 1745 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ ლ. გ-მა, თ. ქ-მა და ლ. რ-მა კვლავ განიზრახეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ლ. გ-ი, თ. ქ-ი და ლ. რ-ი 2009 წლის 16 ივლისს, დაახლოებით 13:30 საათზე, მივიდნენ ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე მდებარე ბინაში რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ლ. კ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გახსნეს ბინის კარი, ისარგებლეს იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა, უკანონოდ შეაღწიეს და დაიწყეს იქ არსებული ღირებული ნივთების მოძიება, რა დროსაც გადმოალაგეს, პოლიეთილენის პარკში ჩაალაგეს და წასაღებად გაამზადეს: მამაკაცის 4 პერანგი, მამაკაცის ერთი ჯინსის შარვალი, მამაკაცის ერთი სვიტერი, «...»-ის ფირმის ერთი დივიდი პლეერი, დიდი ზომის ხანჯალი. თანაქონ ჩანთაში ჩაალაგეს ლ. კ-ს კუთვნილი, 50 ლარად ღირებული მცირე ზომის ხანჯალი, 30 ლარად ღირებული ვერცხლის ჯაჭვი ჯვართან ერთად, 30 ლარად ღირებული ვერცხლის ჯაჭვი ქალწულის ზოდიაქოს გამოსახულებით, 5 ლარად ღირებული პატარა ზარდახშა, მასში მოთავსებული, 25 ლარად ღირებული მამაკაცის ვერცხლის ბეჭდით, 25 ლარად ღირებული ქალის ვერცხლის ბეჭედი, 40 ლარად ღირებული, მწვანე მალაქიტისთვლებიანი მძივი, ხოლო თ. ქ-მა ნივთების მოძიების დროს შარვლის ჯიბეში ჩაიდო 20 ლარად ღირებული გულსაბნევი ყვავილების გამოსახულებით. მათი ბინაში ყოფნის დროს კართან მივიდა ლ. კ-ის ქალიშვილი თ. ა-ა, რომელმაც ბინის კარის გაღება სცადა, მაგრამ იმის გამო, რომ ბოროტმოქმედებმა გაიგეს კარის გაღების მცდელობით გამოწვეული ხმაური, შიგნიდან გადაკეტეს ბინაში შესასვლელი კარი, თუმცა, მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ თ.ა-ა მარტო იმყოფებოდა და მათი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანას ხელს ვერ შეუშლიდა, გააღეს შიგნიდან გადაკეტილი კარი, აიღეს ხელჩანთა, რომელშიც ჩალაგებული ჰქონდათ ლ. კ-ის კუთვნილი: 50 ლარად ღირებული მცირე ზომის ხანჯალი, 30 ლარად ღირებული ვერცხლის ჯაჭვი ჯვართან ერთად, 30 ლარად ღირებული ვერცხლის ჯაჭვი ქალწულის ზოდიაქოს გამოსახულებით, 5 ლარად ღირებული პატარა ზარდახშა, მასში მოთავსებული, 25 ლარად ღირებული მამაკაცის ვერცხლის ბეჭდით, 25 ლარად ღირებული ქალის ვერცხლის ბეჭედი, 40 ლარად ღირებული, მწვანე მალაქიტისთვლებიანი მძივი, რის შემდეგაც ლ. გ-მა ამოიღო თანაქონი ჯიბის დანა და პირველი გაემართა კარისაკენ, რა დროსაც სადარბაზოში, კართან მდგომ თ. ა-ს დაუყვირა, მოუღერა დანა და ამგვარად დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, თან დანაშემართული იდგა მის წინ მანამ, სანამ თანამზრახველები არ გამოვიდნენ ბინიდან, რის შემდეგაც მათთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. ლ. გ-ის, თ. ქ-ისა და ლ. რ-ის დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 225 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

იმ მიზნით, რომ მათი დანაშაულებრივი ქმედება არ გამჟღავნებულიყო, ლ. გ-მა, თ. ქ-მა და ლ. რ-მა ლ. კ-ის ბინიდან მოპარული ნივთები გამოძიებით დაუდგენელ ადგილას გადამალეს და ფონიჭაღის დასახლებიდან მიმალვას შეეცადნენ. აღნიშნული ფაქტის შესახებ თ.ა-მ განაცხადა ქ.თბილისის ისან-სამგორის სამმართველოს IX განყოფილებაში და გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ბოროტმოქმედები დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა. დაკავების დროს ლ. გ-მა აღნიშნული განყოფილების პოლიციის მუშაკს – ლ. ც-ს, მისი საქმიანობის ხელის შეშლისა და შეწყვეტის მიზნით, ძალადობის გამოყენებით წინააღმდეგობა გაუწია, კერძოდ, მარცხენა წინამხარზე მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება.

ლ. გ-ს, თ. ქ-სა და ლ. რ-ს დაკავების შემდეგ ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც ლ. გ-ისაგან ამოიღეს ბინის კარის საკეტის გამხსნელი ტექნიკური საშუალებები, ე.წ. «ატმინკები», ასევე, ქარხნული წესით დამზადებული ჯიბის დანა, რომელიც, 205 ც/ი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიეკუთვნებოდა ცივ იარაღთა კატეგორიას.

განაჩენით ლ. რ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

მანვე ჩაიდინა ქურდობა, ე. ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

მანვე ჩაიდინა პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლისა და შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით;

მანვე ჩაიდინა ნასამართლობის მქონე პირის მიერ ცივი იარაღის ტარება.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 თებერვლის განაჩენით ლ. რ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსხ-ის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით, რაც 2008 წლის 24 დეკემბერს მან კალენდარულად მოიხადა.

ლ. რ-ი არ დაადგა გამოსწორების გზას და 2009 წლის აპრილის დასაწყისში განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 4 აპრილს მივიდა ქ.თბილისში, ვარკეთილი 3, I მ/რნ-ში მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ნ. ა-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნა ბინის კარი, ისარგებლა იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ნ. ა-ს კუთვნილ: 1) 800 ლარად ღირებულ «ტომიბას» ფორმის ლეპტოპს; 2) 40 ლარად ღირებულ ვერცხლის სამაჯურს წარწერით «უფალო, შემიწყალე»; 3) 150 ლარად ღირებულ, ოვალური ფორმის 4-თვლიან ოქროს ბეჭედს; 4) ოქროსა და ვერცხლის ბეჭედებს, ვერცხლის გრებილ ჯაჭვს, მარგალიტის მძივებს, ასევე ქარვის მძივებს საერთო ღირებულებით – 200 ლარი; 5) 30 ლარად ღირებულ, სასწორის ფორმის სუვენირს წარწერით « I დ » და შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. ლ. რ-ის დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 1220 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ ლ. რ-მა კვლავ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 6 მაისს მივიდა ქ.თბილისში, ...-ის, ... მ/რნ-ში მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე გ. გ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნა ბინის კარი, ისარგებლა იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა გ.გ-ისა და მისი მეუღლის – ნ.ბ-ის კუთვნილ: 1) ერთ ბაჯაღლოსა და 5 ჩვეულებრივ ოქროს ბეჭედს; 2) ერთ ოქროს ჯვარს და ერთ ოქროს გრებილ ჯაჭვს; 3) 600 ლარად ღირებულ, ერთ 5-გრამიან ბრილიანტის 3-თვლიან ბეჭედს; 4) 200 ლარად ღირებულ, 3-გრამიან გულის ფორმის ოქროს კულონს; 5) 500 ლარად ღირებულ, 8-გრამიან ვარდისფერთვლიან ბაჯაღლო ოქროს ბეჭედს; 6) 300 ლარად ღირებულ, 6-გრამიან ბეჭედს წითელი კონუსის ფორმის თვლით; 7) 250 ლარად ღირებულ, ვარსკვლავის ფორმის ვარდისფერთვლიან ბეჭედს; 8) 250 ლარად ღირებულ, ყვავილის ფორმის თეთრთვლიან ბეჭედს; 9) 250 ლარად ღირებულ მრგვალ ბეჭედს; 10) 300 ლარად ღირებულ 2 ჯვარს წმინდა ნინოს გამოსახულებით; 11) 300 ლარად ღირებულ ერთ წყვილ საყურეს; 12) ოთხკუთხა ფორმის ზარდახშას სახურავზე მტრედების გამოსახულებით, რომელშიც მოთავსებული იყო 20 ლარად ღირებული 3 ცალი ბეჭედი; 12) 50 ლარად ღირებული ვერცხლის ჯაჭვი; 13) ერთი ვერცხლის ჭიქა და შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. ლ. რ-ის დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 3020 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ ლ. რ-მა კვლავ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 13 მაისს მივიდა ქ.თბილისში, ვარკეთილი 3, I მ/რნ-ში მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ლ. წ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნა ბინის კარი, ისარგებლა იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ლ. წ-ს კუთვნილ: 1) 500 ლარად ღირებულ ოქროს სამაჯურს; 2) ფულად თანხას – 500 ლარისა და 20 აშშ დოლარის ოდენობით; 3) 150 ლარად ღირებულ, ორიგინალურ ყელსაბამს ოთხკუთხედი ფორმის გულსაკიდით და შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. ლ. რ-ის დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 1182 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ ლ. რ-მა კვლავ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 14 მაისს მივიდა ქ.თბილისში, ...-ის, ... მ/რნ-ში მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ლ. დ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნა ბინის კარი, ისარგებლა იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ლ. დ-ის კუთვნილ: 1) სხვადასხვა დასახელების ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს; 2) მრგვალი ფორმის მაჯის საათს ტყავის სამაჯურით; 3) ოთხკუთხა ფორმის მაჯის საათს

ტყავის სამაჯურით ისრების გარეშე; 4) ოქროსფერ საათს სამაჯურის გარეშე; 5) სუვენირს – მუყაოსაგან დამზადებულ, ერთ წყვილ თეთრ ქოშებს, ფერადი ძაფით გადაბმულს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ლ. რ-ის დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 217 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ ლ. რ-ი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ნაცნობ თ. ქ-ს. მათ ერთობლივად განიზრახეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 25 მაისს მივიდნენ ქ.თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივი, ზ/პლატოზე მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ჯ. რ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნეს ბინის კარი, ისარგებლეს იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლნენ ჯ. და ნ. რ-ების კუთვნილ: 1) 1100 ლარად ღირებულ « » ფირმის მონიტორსა და პროცესორს; 2) 100 ლარის ოდენობით ფულად თანხას; 3) 20 ლარად ღირებულ, რეზინის ზონარზე ასხმულ ვერცხლისფერ ყელსაბამს, შუაში 3 ცისფერი თვლით; 4) 15 ლარად ღირებულ, 2 წყვილ ოქროსფერ საყურეს იასამნისფერი თვლებით; 5) 20 ლარად ღირებულ, 1 წყვილ ოქროსფერ საყურეს; 6) 15 ლარად ღირებულ, მრგვალი ფორმის ოქროსფერ საყურეს გამჭვირვალე თვლებით და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მათმა დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 1285 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ ლ. რ-მა და თ. ქ-მა კვლავ განიზრახეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 17 ივნისს მივიდნენ ქ.თბილისში, ...-ის, მე-6 კვარტალში მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ი. ბ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნეს ბინის კარი, ისარგებლეს იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლნენ ი. ბ-სა და ნ. კ-ს კუთვნილ: 1) 1000 ლარის ოდენობით ფულად თანხას; 2) 100 ლარად ღირებულ, 6 პერსონაზე გათვალისწინებულ ჩაის სერვისს; 3) 100 ლარად ღირებულ არტერიული წნევის მარეგულირებელ სამაჯურს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მათმა დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 1200 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ ლ. რ-მა კვლავ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დანაშაულებრივად დაუკავშირდა ნაცნობებს – თ. ქ-სა და ლ. გ-ს. ისინი 2009 წლის 13 ივლისს მივიდნენ ქ.თბილისში, ...-ის, მე-.../ა მ/რნ-ში მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ე. ბ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნეს ბინის კარი, ისარგებლეს იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლნენ ე. ბ-ს კუთვნილ: 1) კომპიუტერის მონიტორს, პროცესორს, ვიდეოთვალს და 3 დინამიკს; 2) ციფრულ ფოტოაპარატს; 3) ანტიკვარულ ლითონის საფერფლეს «სფინქსის» გამოსახულებით; 4) ოქროსფერ საყურეებსა და ვერცხლისფერ ბეჭედს; 5) მამაკაცის ვერცხლისფერ საათს ვერცხლისფერივე სამაჯურით; 6) «საქართველოს ბანკის» სახელფასო პლასტიკურ ბარათს; 7) მამაკაცისა და ქალის სუნამოებს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მათმა დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 1745 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ ლ. რ-მა, თ. ქ-მა და ლ. გ-მა კვლავ განიზრახეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით 2009 წლის 16 ივლისს, დაახლოებით 13:30 საათზე, მივიდნენ ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ლ. კ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გახსნეს ბინის კარი, ისარგებლეს იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა, უკანონოდ შეაღწიეს და დაიწყეს იქ არსებული ღირებული ნივთების მოძიება, რა დროსაც გადმოალაგეს, პოლიეთილენის პარკში ჩაალაგეს და წასაღებად გაამზადეს: მამაკაცის 4 პერანგი, მამაკაცის ერთი ჯინსის შარვალი, მამაკაცის ერთი სვიტერი, « »-ის ფირმის ერთი დივიდი პლეერი, დიდი ზომის ხანჯალი. თანაქონ ჩანთაში ჩაალაგეს ლ. კ-ის კუთვნილი, 50 ლარად ღირებული მცირე ზომის ხანჯალი, 30 ლარად ღირებული ვერცხლის ჯაჭვი ჯვართან ერთად, 30 ლარად ღირებული ვერცხლის ჯაჭვი ქალწულის ზოდიაქოს გამოსახულებით, 5 ლარად ღირებული პატარა ზარდახმა, მასში მოთავსებული, 25 ლარად ღირებული მამაკაცის ვერცხლის ბეჭდით, 25 ლარად ღირებული ქალის ვერცხლის ბეჭედი, 40 ლარად ღირებული მწვანე მალაქიტის თვლებიანი მძივი, ხოლო თ. ქ-მა ნივთების მოძიების დროს შარვლის ჯიბეში ჩაიღო 20 ლარად ღირებული გულსაბნევი ყვავილების გამოსახულებით. მათი ბინაში ყოფნის დროს კართან მივიდა ლ. კ-ს ქალიშვილი თ. ა-ა, რომელმაც ბინის კარის გაღება სცადა, მაგრამ იმის გამო, რომ ბოროტმოქმედებმა გაიგეს კარის გაღების მცდელობით გამოწვეული ხმაური, შიგნიდან გადაკეტეს ბინაში შესასვლელი კარი, თუმცა მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ თ. ა-ა მარტო იმყოფებოდა და მათი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანას ხელს ვერ შეუშლიდა, გააღეს შიგნიდან გადაკეტილი კარი, აიღეს ხელჩანთა, რომელშიც ჩა-

ლაგებული ჰქონდათ ლ. კ-ს კუთვნილი: 50 ლარად ღირებული მცირე ზომის ხანჯალი, 30 ლარად ღირებული ვერცხლის ჯაჭვი ჯვართან ერთად, 30 ლარად ღირებული ვერცხლის ჯაჭვი ქალწულის ზოდიაქოს გამოსახულებით, 5 ლარად ღირებული პატარა ზარდახშა, მასში მოთავსებული, 25 ლარად ღირებული მამაკაცის ვერცხლის ბეჭდით, 25 ლარად ღირებული ქალის ვერცხლის ბეჭედი, 40 ლარად ღირებული, მალაქიტისთვლებიანი მძივი, რის შემდეგაც ლ. გ-მა ამოიღო თანაქონი ჯიბის დანა და პირველი გაემართა კარისაკენ, რა დროსაც სადარბაზოში, კართან მდგომ თ. ა-ს დაუყვირა, მოუღერა დანა და ამგვარად დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, თან დანაშემართული იდგა მის წინ მანამ, სანამ თანაშორახველები არ გამოვიდნენ ბინიდან, რის შემდეგაც მათთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. ლ. გ-ის, თ. ქ-ისა და ლ. რ-ის დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 225 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

იმ მიზნით, რომ მათი დანაშაულებრივი ქმედება არ გამჟღავნებულიყო, ლ. გ-მა, თ. ქ-მა და ლ. რ-მა ლ. კ-ს ბინიდან მოპარული ნივთები გამოძიებით დაუდგენელ ადგილას გადამალეს და ფონიჭალის დასახლებიდან მიმალვას შეეცადნენ. აღნიშნული ფაქტის შესახებ თ. ა-მ განაცხადა ქ.თბილისის ისან-სამგორის სამმართველოს IX განყოფილებაში და გატარებული სამძებრო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ბოროტმოქმედები დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა. დაკავების დროს ლ. რ-მა აღნიშნული განყოფილების პოლიციის მუშაკს – გ. კ-ს, მისი საქმიანობის ხელის შეშლისა და შეწყვეტის მიზნით, ძალადობის გამოყენებით წინააღმდეგობა გაუწია, კერძოდ, მარცხენა ყვრიმალის არეში მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება და პოლიციელის ფორმის პერანგი შემოახია.

ლ. რ-ს, თ. ქ-სა და ლ. გ-ს დაკავების შემდეგ ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც ლ. რ-საგან, რომელიც მანამდე განზრახ დანაშაულის ჩადენისათვის იყო ნასამართლევი, ამოღებულ იქნა ქარხნული წესით დამზადებული ჯიბის დანა, რომელიც, 205 ც/ი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიეკუთვნება ცივ იარაღთა კატეგორიას.

განაჩენით თ. ქ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია:

მანვე ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია:

მანვე ჩაიდინა პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლისა და შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით;

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: 2009 წლის მარტის დასაწყისში თ. ქ-მა განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 30 მარტს, დღის საათებში, მივიდა ქ. თბილისში, კალოუზნის ქუჩაზე მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ლ. ლ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნა ბინის კარი, ისარგებლა იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ლ. ლ-ის კუთვნილ: 1) 530 ლარად ღირებულ «სონის» ფორმის მუსიკალურ ცენტრს; 2) 85 ლარად ღირებულ 1 წყვილ ოქროს საყურეს თეთრი ოთხკუთხა თვლით; 3) 20 ლარად ღირებულ ერთ ვერცხლის საყურეს ყავისფერი თვლით; 4) 15 ლარად ღირებულ ბიჟუტერიას, კერძოდ, საყურეს მოწითალო ფერის თვლებით და შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. თ. ქ-ის დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 650 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ თ. ქ-მა კვლავ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 10 აპრილს მივიდა ქ. თბილისში, ...-ის, ზ/პლატო, მე-... მ/რ-ნ-ში მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ფ. პ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნა ბინის კარი, ისარგებლა იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ფ. პ-ს კუთვნილ: 1) 20 ლარად ღირებულ ტყავის საფულეს 200 ლარის ოდენობის ფულადი თანხით; 2) 40 ლარად ღირებულ, მცირე ზომის თევზ-სუვენირს საფეხბურთო სტადიონის გამოსახულებით, წარწერით «ლ. დ. » და შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. თ. ქ-ის დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 260 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ თ. ქ-ი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ნაცნობ ლ. რ-ს. მათ ერთობლივად განიზრახეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 25 მაისს მივიდნენ ქ. თბილისში, ...-ის, ზ/პლატოზე მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ჯ. რ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნეს ბინის კარი, ისარგებლეს იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლნენ ჯ. და ნ. რ-ების კუთვნილ: 1) 1100 ლარად ღირებულ « » ფორმის მონიტორსა და პროცესორს; 2) 100 ლარს;

3) 20 ლარად ღირებულ, რეზინის ზონარზე ასხმულ ვერცხლისფერ ყელსაბამს, შუაში 3 ცისფერი თვლით; 4) 15 ლარად ღირებულ, 2 წყვილ ოქროსფერ საყურეს იასამნისფერი თვლებით; 5) 20 ლარად ღირებულ, 1 წყვილ ოქროსფერ საყურეს; 6) 15 ლარად ღირებულ, მრგვალი ფორმის ოქროსფერ საყურეს გამჭვირვალე თვლებით და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მათმა დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 1285 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ თ. ქ-მა და ლ. რ-მა კვლავ განიზრახეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 17 ივნისს მივიდნენ ქ. თბილისში, ...-ის, მე-6 კვარტალში მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ი. ბ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნეს ბინის კარი, ისარგებლეს იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლნენ ი. ბ-სა და ნ. კ-ს კუთვნილ: 1) 1000 ლარის ოდენობით ფულად თანხას; 2) 100 ლარად ღირებულ, 6 პერსონაზე გათვალისწინებულ ჩაის სერვისს; 3) 100 ლარად ღირებულ, არტერიული წნევის მარეგულირებელ სამაჯურს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მათმა დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 1200 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ თ. ქ-ი და ლ. რ-ი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ნაცნობ ლ. გ-ს. მათ შექმნეს პირთა ჯგუფი და ერთად განიზრახეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი 2009 წლის 13 ივლისს მივიდნენ ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, მე-3/ა მ/რნ-ში მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ე. ბ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალების გამოყენებით გახსნეს ბინის კარი, ისარგებლეს იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლნენ ე. ბ-ს კუთვნილ: 1) კომპიუტერის მონიტორს, პროცესორს, ვიდეოთვალს და 3 დინამიკს; 2) ციფრულ ფოტოაპარატს; 3) ანტიკვარულ ლითონის საფერფლეს «სფინქსის» გამოსახულებით; 4) ოქროსფერ საყურეებსა და ვერცხლისფერ ბეჭედს; 5) მამაკაცის ვერცხლისფერ საათს ვერცხლისფერივე სამაჯურით; 6) «საქართველოს ბანკის» სახელფასო პლასტიკურ ბარათს; 7) მამაკაცისა და ქალის სუნამოებს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მათმა დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 1745 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ამის შემდეგ თ. ქ-მა, ლ. რ-მა და ლ. გ-მა კვლავ განიზრახეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 16 ივლისს, დაახლოებით 13:30 საათზე, მივიდნენ ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე მდებარე ბინაში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ლ. კ-ს. წინასწარ მომარჯვებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გახსნეს ბინის კარი, ისარგებლეს იმით, რომ ბინაში არავინ იმყოფებოდა და უკანონოდ შეაღწიეს მასში და დაიწყეს იქ არსებული ღირებული ნივთების მოძიება, რადროსაც გადმოალაგეს, პოლიეთილენის პარკში ჩაალაგეს და წასაღებად გაამზადეს: მამაკაცის 4 პერანგი, მამაკაცის ერთი ჯინსის შარვალი, მამაკაცის ერთი სვიტერი, «ლჯ-ის» ფირმის ერთი დვდ პლეერი, დიდი ზომის ხანჯალი. თანაქონ ჩანთაში ჩაალაგეს ლ. კ-ს კუთვნილი, 50 ლარად ღირებული მცირე ზომის ხანჯალი, 30 ლარად ღირებული ვერცხლის ჯაჭვი ჯვართან ერთად, 30 ლარად ღირებული ვერცხლის ჯაჭვი ქალწულის ზოდიაქოს გამოსახულებით, 5 ლარად ღირებული პატარა ზარდახშა, მასში მოთავსებული, 25 ლარად ღირებული მამაკაცის ვერცხლის ბეჭდით, 25 ლარად ღირებული ქალის ვერცხლის ბეჭედი, 40 ლარად ღირებული მწვანე მალაქიტისთვლებიანი მძივი, ხოლო თ. ქ-მა ნივთების მოძიების დროს შარვლის ჯიბეში ჩაიდო 20 ლარად ღირებული გულსაბნევი ყვავილების გამოსახულებით. მათი ბინაში ყოფნის დროს კართან მივიდა ლ. კ-ს ქალიშვილი თ. ა-ა, რომელმაც ბინის კარის გაღება სცადა, მაგრამ იმის გამო, რომ ბოროტმოქმედებმა გაიგეს კარის გაღების მცდელობით გამოწვეული ხმაური, შიგნიდან გადაკეტეს ბინაში შესასვლელი კარი, თუმცა, მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ თ. ა-ა მარტო იმყოფებოდა და მათი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანას ხელს ვერ შეუშლიდა, გააღეს შიგნიდან გადაკეტილი კარი, აიღეს ხელჩანთა, რომელშიც ჩალაგებული ჰქონდათ ლ. კ-ს კუთვნილი: 50 ლარად ღირებული მცირე ზომის ხანჯალი, 30 ლარად ღირებული ვერცხლის ჯაჭვი ჯვართან ერთად, 30 ლარად ღირებული ვერცხლის ჯაჭვი ქალწულის ზოდიაქოს გამოსახულებით, 5 ლარად ღირებული პატარა ზარდახშა, მასში მოთავსებული, 25 ლარად ღირებული მამაკაცის ვერცხლის ბეჭდით, 25 ლარად ღირებული ქალის ვერცხლის ბეჭედი, 40 ლარად ღირებული მწვანე მალაქიტისთვლებიანი მძივი, რის შემდეგ ლ. გ-მა ამოიღო თანაქონი ჯიბის დანა და პირველი გაემართა კარისაკენ, რადროსაც სადარბაზოში, კართან მდგომ თ. ა-ს დაუყვირა, მოუღერა დანა და ამგვარად დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, თან დანაშემართული იდგა მის წინ მანამ, სანამ თანამზრახველები არ გამოვიდნენ ბინიდან, რის შემდეგაც მათთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ლ. გ-ს, თ. ქ-ისა და ლ. რ-ის დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა 225 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

იმ მიზნით, რომ მათი დანაშაულებრივი ქმედება არ გამჟღავნებულიყო, ლ. გ-მა, თ. ქ-მა და ლ. რ-მა ლ. კ-ს ბინიდან მოპარული ნივთები გამოძიებით დაუდგენელ ადგილას გადაამალეს და ფონიჭალის

დასახლებიდან მიმალვას შეეცადნენ. აღნიშნული ფაქტის შესახებ თ. ა-მ განაცხადა ქ.თბილისის ისან-სამგორის სამმართველოს IX განყოფილებაში და გატარებული სამძებრო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ბოროტმოქმედები დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა. დაკავების დროს თ. ქ-მა აღნიშნული განყოფილების პოლიციის მუშაკს – ლ. მ-ს, მისი საქმიანობის ხელის შეშლისა და შეწყვეტის მიზნით, ძალადობის გამოყენებით წინააღმდეგობა გაუწია, კერძოდ, მარცხენა წინამხარზე მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება. თ. ქ-ის პირადი ჩხრეკის დროს ამოღებულ იქნა ლ. კ-ს ბინიდან მოპარული გულსაბნევი ყვავილების გამოსახულებით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ თ. ქ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ბ-მ, მსჯავრდებულ ლ. რ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. თ-მა და მსჯავრდებულ ლ. გ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ტ. ტ-მ, რომლებიც საჩივრებით ითხოვდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის განაჩენის გაუქმებასა და მათი დაცვის ქვეშ მყოფთა მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრების მოთხოვნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის განაჩენი ლ. რ-ისა და თ. ქ-ის მიმართ დარჩა უცვლელად, ხოლო ლ. გ-ის მიმართ შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 1 დეკემბრის განაჩენით ლ. გ-ის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 1 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად, გაუნახვერდა და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 22 წლის ვადით და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 17 500 ლარის ოდენობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ თ. ქ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ბ-მ და მსჯავრდებულ ლ. რ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. თ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კანონიერი და დასაბუთებულია, შეკრებილი მტკიცებულებები – დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტიზის დასკვნები, პირადი და ბინის ჩხრეკის ოქმები, ამოღების ოქმები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმები, პიროვნებისა და საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმები და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია სრულად, შეაფასა მათი დასაშვებობისა და შესახებობის თვალსაზრისით, გარდა ქურდობის – 2009 წლის 25 მაისის, 2009 წლის 13 ივლისისა და 2009 წლის 17 ივნისის ეპიზოდებისა. საქმეში არსებული მტკიცებულებები აღნიშნულ ეპიზოდებთან მიმართებით, საკმარისობის თვალსაზრისით, არ იძლევა მსჯავრდებულთა ქმედებების საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქ/პუნქტით (ქურდობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) დაკვალიფიცირების საფუძველს, რის გამოც, პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულთა სასიკეთოდ.

2009 წლის 25 მაისის ჩადენილი ქურდობის ეპიზოდში ლ. რ-სა და თ. ქ-ს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის «ა» ქ/პუნქტითა და III ნაწილის «ა», «გ» ქ/პუნქტებით, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლებისათვის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ბინაში უკანონო შეღწევით. საბრალდებო დასკვნასა და განაჩენებში მითითებული მტკიცებულებების, კერძოდ: 26.08.2009წ. 8/10/3-224 ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შემთხვევის ადგილიდან აღებული სუნის კვალის ნიმუშები დაკავებულების – თ. ქ-ისა და ლ. რ-ისაგან აღებული სუნის კვალის ნიმუშების იდენტურია; თ. ქ-ის ბინის ჩხრეკის ოქმის თანახმად, თ. ქ-ის ბინიდან ამოღებულ იქნა დაზარალებულ ჯ. რ-ის ბინიდან ნაქურდალი ნივთები; საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმების თანახმად, დაზარალებულმა ნ. რ-მ ამოიცნო თ. ქ-ის ბინის ჩხრეკისას ამოღებული მისი კუთვნილი ნივთები, დაზარალებულთა ჩვენებები ადასტურებენ თ. ქ-ის ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნივთების

მათადმი კუთვნილებას და ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები, მათი საქმისადმი დამოკიდებულების, უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით, გვამღევს საფუძველს თ. ქ-ის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით (2009 წლის 25 მაისის ეპიზოდი) მსჯავრდებისათვის. რაც შეეხება ამ ეპიზოდში მსჯავრდებულ ლ. რ-ის მსჯავრდებას, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად საქმეში არსებული მტკიცებულებების საკმარისობის თაობაზე, კერძოდ: ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გარდა, განაჩენებში არ არის მითითებული სხვა ისეთ მტკიცებულებაზე, რომელიც დაადასტურებდა თ. ქ-თან ერთად ლ. რ-ის მონაწილეობას მითითებული დანაშაულის ჩადენაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ 2009 წლის 25 მაისს ჩადენილი ქურდობის ეპიზოდში უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა ლ. რ-ის მიმართ და, შესაბამისად, შეიცვალოს მისთვის დანიშნული სასჯელი, ხოლო თ. ქ-ს ამავე ეპიზოდში მსჯავრდებიდან უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტი (ქურდობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქვეპუნქტით.

რაც შეეხება 2009 წლის 13 ივლისს ჩადენილი ქურდობის ეპიზოდს, რომელშიც მსჯავრი დაედოთ ლ. რ-ს, ლ. გ-სა და თ. ქ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და III ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებით (სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით), ხოლო ლ. გ-ს ასევე – საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (არაერთგზის ჩადენილი ქურდობა), საბრალდებო დასკვნასა და განაჩენებში მითითებული მტკიცებულებების, კერძოდ: 12.09.2009წ. 8/10/3-232 ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შემთხვევის ადგილიდან აღებული სუნის კვალის ნიმუშები დაკავებულების – თ. ქ-ისა და ლ. გ-ისაგან აღებული სუნის კვალის ნიმუშების იდენტურია, ხოლო არაიდენტურია ლ. რ-ისაგან აღებული სუნის კვალის ნიმუშისა; ლ. რ-ის ბინის ჩხრევის ოქმის თანახმად, ლ. რ-ის ბინიდან ამოღებულ იქნა დაზარალებულ ე. ბ-ს ბინიდან ნაქურდალი ნივთები; საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმების თანახმად, დაზარალებულმა ე. რ-მ ამოიწყო ლ. რ-ის ბინის ჩხრევისას ამოღებული თავისი კუთვნილი ნივთები; დაზარალებულის ჩვენებები, რომლებიც ადასტურებს ლ. რ-ის ბინის ჩხრევისას ამოღებული ნივთების მისდამი კუთვნილებას და ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები, მათი საქმისადმი დამოკიდებულების, უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით, გვამღევს საფუძველს ლ. რ-ის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით (2009 წლის 13 ივლისის ეპიზოდი) მსჯავრდებისათვის. რაც შეეხება მსჯავრდებულებს – თ. ქ-სა და ლ. გ-ს, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ამ ეპიზოდში გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად საქმეში არსებული მტკიცებულებების საკმარისობის თაობაზე, კერძოდ: ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გარდა, განაჩენებში არ არის მითითებული სხვა ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებიც დაადასტურებდა ლ. რ-თან ერთად თ. ქ-ისა და ლ. გ-ის მონაწილეობას აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულების – თ. ქ-ისა და ლ. გ-ის სასიკეთოდ და 2009 წლის 13 ივლისს ჩადენილი ქურდობის ეპიზოდში უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მათ მიმართ; შესაბამისად, უნდა შეიცვალოს მათ მიმართ დანიშნული სასჯელები, ხოლო ლ. რ-ს მსჯავრდებიდან უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტი (ქურდობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქვეპუნქტით.

2009 წლის 17 ივნისს ჩადენილი ქურდობის ეპიზოდში ლ. რ-სა და თ. ქ-ს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის III ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებით (სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით). საბრალდებო დასკვნასა და განაჩენებში მითითებული მტკიცებულებების, კერძოდ: 26.08.2009წ. 8/10/3-223 ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შემთხვევის ადგილიდან აღებული სუნის კვალის ნიმუშები დაკავებულების – თ. ქ-ისა და ლ. გ-ისაგან აღებული სუნის კვალის ნიმუშების იდენტურია, ხოლო არაიდენტურია ლ. რ-ისაგან აღებული სუნის კვალის ნიმუშისა; თ. ქ-ის ბინის ჩხრევის ოქმის თანახმად, თ. ქ-ის ბინიდან ამოღებულ იქნა დაზარალებულ ნ. კ-ის ბინიდან ნაქურდალი ნივთები; საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმების თანახმად, დაზარალებულმა ნ. კ-მა ამოიწყო თ. ქ-ის ბინის ჩხრევისას ამოღებული მისი კუთვნილი ნივთები; დაზარალებულის ჩვენებით, რომელიც ადასტურებს თ. ქ-ის ბინის ჩხრევისას ამოღებული ნივთების მისდამი კუთვნილებას და ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები, მათი საქმისადმი დამოკიდებულების, უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით, გვამღევს საფუძველს თ. ქ-ის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით (2009 წლის 17 ივნისის ეპიზოდი) მსჯავრდებისათვის. რაც შეეხება მსჯავრდებულ ლ. რ-ს, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ამ ეპიზოდში გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად საქმეში არსებული მტკიცებულებების საკმარისობის თაობაზე, კერძოდ: განაჩენებში არ არის მითითება ისეთ მტკიცებულებაზე, რომელიც დაადასტურებდა თ. ქ-თან ერთად ლ. რ-ს მონა-

წილებას აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულ ლ. რ-ის სასიკეთოდ: უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა 2009 წლის 17 ივნისს ჩადენილი ქურდობის ეპიზოდში ლ. რ-ის მსჯავრდების ნაწილში, ასევე უნდა შეიცვალოს მის მიმართ დანიშნული სასჯელი, ხოლო თ. ქ-ს მსჯავრიდან უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტი (ქურდობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 177-ე მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას, რის გამოც მსჯავრდებულთა ქმედებები ქურდობის ჩადენის ყველა ეპიზოდში უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ მე-3 ნაწილის შესაბამისი ქ/პუნქტებით.

გასაჩივრებული განაჩენი, როგორც კანონიერი და დასაბუთებული, სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ თ. ქ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ისა და მსჯავრდებულ ლ. რ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. თ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულთა სასიკეთოდ:

ლ. რ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის «ა» და III ნაწილის «ა» და «გ» ქ/პუნქტებით (2009 წლის 25 მაისის ეპიზოდი);

ლ. რ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის «ა» და III ნაწილის «ა» და «გ» ქ/პუნქტებით (2009 წლის 17 ივნისის ეპიზოდი);

ლ. რ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის «ა» და III ნაწილის «ა» და «გ» ქ/პუნქტებით (2009 წლის 13 ივლისის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქ/პუნქტით;

ლ. რ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ა» და «გ» ქ/პუნქტებით (2009 წლის 16 ივლისის ეპიზოდი) დანიშნულ ძირითად სასჯელს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთას – დაემატოს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქ/პუნქტით (ბრალდების ხუთი – 2009 წლის 4 აპრილის, 2009 წლის 6 მაისის, 2009 წლის 13 მაისის, 2009 წლის 14 მაისისა და 13 ივლისის ეპიზოდები) დანიშნული ძირითადი სასჯელების – 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი – 3-3 წელი, საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული ძირითადი სასჯელის – 4 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი – 2 წელი, საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის I ნაწილით დანიშნული ძირითადი სასჯელი – ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით და საბოლოოდ ლ. რ-ს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 23 წლის ვადით, ჯარიმა – 1000 ლარი და დამატებით სასჯელად ჯარიმა – 30 000 ლარი.

ლ. გ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის «ა» და III ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქ/პუნქტებით (2009 წლის 13 ივლისის ეპიზოდი);

ლ. გ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქ/პუნქტებით (2009 წლის 5 მარტის ეპიზოდი) დანიშნულ ძირითად სასჯელს – 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთას დაემატოს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ბ» და «გ» ქ/პუნქტებით (ბრალდების ორი – 2009 წლის 10 მარტისა და 2009 წლის 26 ივნისის ეპიზოდები) დანიშნული ძირითადი სასჯელების – 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი – 3-3 წელი, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქ/პუნქტებით (2009 წლის 16 ივლისის ეპიზოდი) დანიშნული ძირითადი სასჯელის – 5 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი – 3 წელი, საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით დანიშნული ძირითადი სასჯელის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი – 8 თვე, საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული ძირითადი სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი – 1 წელი და 6 თვე, საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის II ნაწილის «ბ» ქ/პუნქტით დანიშნული ძირითადი სასჯელის – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი – 1 წელი და 4 თვე, ასევე «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად განახევრებული – 2006 წლის 1 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ლ. გ-ს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 19 წლის ვადით და დამატებით სასჯელად ჯარიმა 14 000 ლარის ოდენობით.

თ. ქ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის «ა» და III ნაწილის «ა» და «გ» ქ/პუნქტებით (2009 წლის 13 ივლისის ეპიზოდი);

თ. ქ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის «ა» და III ნაწილის «ა» და «გ» ქ/პუნქტებით (2009 წლის 25 მაისის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქ/პუნქტით;

თ. ქ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის «ა» და III ნაწილის «ა» და «გ» ქ/პუნქტებით (2009 წლის 17 ივნისის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქ/პუნქტით;

თ. ქ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქ/პუნქტით (2009 წლის 17 ივნისის ეპიზოდი) დანიშნულ ძირითად სასჯელს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთას დაემატოს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქ/პუნქტით (ბრალდების სამი – 2009 წლის 30 მარტის, 2009 წლის 10 აპრილისა და 2009 წლის 25 მაისის ეპიზოდები) დანიშნული ძირითადი სასჯელების – 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი – 3-3 წელი, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ა» და «გ» ქ/პუნქტებით (2009 წლის 16 ივლისის ეპიზოდი) დანიშნული ძირითადი სასჯელის – 5 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი – 3 წელი, საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული ძირითადი სასჯელის – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი – 2 წელი და საბოლოოდ თ. ქ-ს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 19 წლის ვადით და დამატებით სასჯელად ჯარიმა 17 500 ლარის ოდენობით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მარცვა

განჩინება

1101-აპ-10

6 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

ზ. მეიშვილი,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ნ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 29 აპრილის განაჩენით ზ. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით 11 წლით, ხოლო 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის გამოყენებით ზ. ნ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს – 11 წლით თავისუფლების აღკვეთას – დაემატა სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელის ნახევარი – 6 თვე და ზ. ნ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 26 დეკემბრიდან.

ზ. ნ-ს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 3 წლით ჩამოერთვა. სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით ზ. ნ-ს მსჯავრი დაედო ყაჩაღობაში, ე.ი. თავდასხმაში სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ბინაში უკანონო შეღწევით; ასევე ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული პირის მიერ.

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის დეკემბერში (ზუსტი თარიღი დაუდგენელია), ქ. ლ-ში, ... ქუჩის 22-ში მცხოვრებმა ზ. ნ-მა გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში მოიპოვა და პირადად, ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება ტეტრაჰიდროკანაბინოლი (მარინუანა), რაც დადასტურებულია ნარკოტიკულ თრობაზე ჩატარებული 2009 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება ზ. ნ-მა მოიხმარა ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ, მაშინ, როდესაც იგი ანალოგიური ქმედებისათვის ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 იანვრის დადგენილებით ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩამდენ პირად და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით შეეფარდა 5 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა.

მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და 2009 წლის 25 დეკემბერს, დაახლოებით 20 საათზე, ბიძის – ს. ც-ის საცხოვრებელ სახლში ნათესავ ს. ც-თან ერთად დალია ალკოჰოლური სასმელი. დაახლოებით 1 საათსა და 30 წუთზე ზ. ნ-მა, ფეხით ბრუნდებოდა რა თავის საცხოვრებელ სახლში, განიზრახა, უკანონოდ შეეღწია თავისი მეზობლის – ქ. ..., ... ქუჩის 52-ში მცხოვრები მ. ნ-ის საცხოვრებელ სახლში და ყაჩაღური თავდასხმის გზით მისგან მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინა პირადი ნივთები. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი დაახლოებით 2 საათზე მივიდა მ. ნ-ის საცხოვრებელ სახლთან, ნახა, რომ მას საძინებელ ოთახში ენთო შუქი, ავიდა სახლის უკან მდებარე აივანზე, ამოიღო ფანჯრიდან მინა, აიღო იქვე დადებული ხის გადანაჭერი და უკანონოდ შეაღწია ბინაში, რა დროსაც გააღვიდა მ. ნ-ი და გააფრთხილა, რომ არ დაეწყო ყვირილი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით. ამ უკანასკნელმა იმ მიზეზით, რომ ზ. ნ-ი არ დაუფლებოდა მის კუთვნილ „ნოკია -73« მოდელის მობილურ ტელეფონს, რომელიც თავთან ედო, ხელში დაიჭირა იგი და სთხოვა ზ. ნ-ს, რომ დაეტოვებინა მისი საცხოვრებელი სახლი, რაზეც მან სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით თანხაქონი ხის გადანაჭერი რამდენჯერმე ჩაარტყა თავში მ. ნ-ს და ხელიდან გასტაცა მობილური ტელეფონი „ნოკია-73«, ღირებული 750 ლარად, თან დაემუქრა, რომ თუ აღნიშნული ფაქტის შესახებ განაცხადებდა პოლიციაში, მოახდენდა მის ფიზიკურ ლიკვიდაციას, რის შემდეგაც დატოვა საცხოვრებელი სახლი და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. დაახლოებით 2.30 საათზე ზ. ნ-ი მივიდა თავის საცხოვრებელ სახლში, სადაც მის მიერ ყაჩაღური გზით მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული „ნოკია -73«-ის მოდელის მობილური ტელეფონი გადამალა საცხოვრებელი სახლის გვერდით მდებარე, ძაღლის სადგომის ქვემოთ, თვითონ კი დაწვა დასაძინებლად.

2009 წლის 26 დეკემბერს, 4.10 საათზე, ზ. ნ-ი მიღებული შეტყობინების საფუძველზე დააკავეს შსს ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს მუშაკებმა და მისი ჩვენების საფუძველზე ზემოაღნიშნული ადგილიდან ამოიღეს მ. ნ-ის კუთვნილი „ნოკია -73« მოდელის მობილური ტელეფონი. აღნიშნული ქმედებით ზ. ნ-მა დაზარალებულ მ. ნ-ს მიაყენა 750 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

მსჯავრდებულმა ზ. ნ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ბ-ემ სააპელაციო საჩივრით ითხოვეს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 29 აპრილის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: მსჯავრდებულის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში – მსჯავრდებულის ქმედების გადაკვალიფიცირება ამავე კოდექსის 178-ე მუხლის II ნაწილის „ა« ქვეპუნქტზე და ამ მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის შეფარდება.

სახელმწიფო ბრალმდებელმა, ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა შ. ჩ-ემ მხარი არ დაუჭირა სააპელაციო საჩივარს, გასაჩივრებული განაჩენი მიიჩნია კანონიერად, დასაბუთებულად და მოითხოვა მისი უცვლელად დატოვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 29 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ზ. ნ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ბ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორებმა აღნიშნეს, რომ განაჩენი არის უკანონო როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში და ითხოვეს სსკ-ის 179-ე მუხლის III ნაწილის „ბ« ქვეპუნქტის გადაკვალიფიცირება იმავე კოდექსის 178-ე მუხლის II ნაწილის „ა« ქვეპუნქტზე, 273-ე მუხლით შერაცხული ბრალდების უცვლელად დატოვება და აღნიშნული მუხლებით სასჯელის მინიმუმის განსაზღვრა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა იზიარებს მსჯავრდებულ ზ. ნ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. ბ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანის თაობაზე იმ ნაწილში, სადაც კასატორები ითხოვენ ქმედების დაკვალიფიცირებას ძარცვით, მაგრამ არ იზიარებს მათ მოთხოვნას იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის III ნაწილის „ბ« ქვეპუნქტის გადაკვალიფიცირებას იმავე კოდექსის 178-ე მუხლის II ნაწილის „ა« ქვეპუნქტზე და იმავე მუხლით მინიმალური სასჯელის შეფარდებას, უსაფუძვლოდ გამო.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების – მ. ს-ის, ი. მ-ას, პ. და ვ. ლ-ების, ს. ფ-ისა (შსს ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი) და ბ. ბ-ის (უზნის ინსპექტორ-გამომძიებელი) ჩვენებებით, საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე ნაგებობის ჩხრეკის, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ჩვენების ადგილზე შემოწმების, ალკოტესტის ოქმებით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებით, ნარკოლოგიურ თრობაზე ჩატარებული ... დასკვნით, რომლითაც მსჯავრდებულს დაუდგინდა ტეტრაჰიდროკანაბინოლის (მარიხუანას) მიღების ფაქტი, ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 იანვრის დადგენილებით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ..., დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ... (რომლითაც დადგენილია, რომ ფანჯრის მინიდან აღებული კვლები დატოვებულია ზ. ნ-ის მარჯვენა და მარცხენა ხელის დიდი თითებით) დასკვნებით, ზ. ნ-ზე ბრალად შერაცხული მის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

რაიონული სასამართლოს სხდომაზე დაზარალებულ მ. ნ-ის მიერ მიცემული ჩვენებით დასტურდება, რომ 2009 წლის 25 დეკემბერს სახლში მარტო იყო, ტელევიზორის ყურების დროს ჩაემინა და შუქი ანთებული დარჩა. ვიდაცამ გააღვიძა და დაინახა მის თავთან მდგომი ზ. ნ-ი, რომელსაც სასმლის სუნის ჰქონდა. მან ზ-ს უთხრა, რომ წაელო, თუ რაიმე უნდოდა, რაზეც ამ უკანასკნელმა უპასუხა: „შენთან ყოფნა მეკაიფება და იმიტომ ვარ მოსულიო«. დაზარალებულმა ფეხი სამჯერ ჩაარტყა ზ. ნ-ს და შემდეგ ხელი საწოლთან დადებული ტელეფონისკენ წაიღო, მაგრამ ზ. ნ-მა ხელიდან გასტაცა 760 ლარად ღირებული ტელეფონი. მან ზ-ს სთხოვა, დაებრუნებინა იგი, რა დროსაც ამ უკანასკნელმა სამჯერ გაარტყა შემის ნაპობი სახის მარცხენა მხარეს, თან სიკვდილით დაემუქრა, თუ ამას სადმე იტყოდა.

სააპელაციო სასამართლოში დაკითხვის დროს დაზარალებულმა მ. ნ-მა დაამატა, რომ მსჯავრდებული მასთან მივიდა სექსუალური კონტაქტის დასამყარებლად. შემის ნაპობი ჩაარტყა მხოლოდ მას მერე, რაც დაზარალებულმა ფეხი სამჯერ ჩაარტყა საზარდულში. იგი მას დაემუქრა არა ყელის გამოჭრით, არამედ – ცემით, ტელეფონი გასტაცა, ჩაარტყა შემის ნაპობი და გაიქცა. მსჯავრდებულს დაზარალებულისათვის არც ფული უთხოვია და არც სამკაულები, რომლებიც იქვე „ტუმბოზე« ეწყო, მაგრამ მას ნივთებისთვის ხელი არ უხლია.

სააპელაციო სასამართლოში დამატებითი დაკითხვის დროს კი დაზარალებულმა შეცვალა ჩვენება და აღნიშნა: «მან ხელი დამიჭირა და მარჯვენა ხელით სამჯერ თუ ოთხჯერ ჩამარტყა შემის ნაჭერი, გამომგლიჯა ტელეფონი და გაიქცა, თან გამაფრთხილა, არავის უთხრა, თორემ მოგკლავო».

პალატის აზრით, დაზარალებულ მ. ნ-ის მიერ რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში მიცემული ჩვენებები თანმიმდევრულია, ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და ამდენად, მის მიერ სააპელაციო სასამართლოში დამატებით მიცემული ჩვენება უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

მოწმე მ. ს-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2009 წლის დეკემბერში, გვიან ღამით, გააღვიძა მ. ნ-ის კვილი. მასთან მისულს ადგილზე დახვდნენ მეზობელი ლ-ები. მ-ამ უთხრა, რომ ღამით მასთან შევიდა ზ. ნ-ი, რომელმაც ხელიდან გასტაცა ტელეფონი და სცემა. მ-ას მარცხენა თვალის არე დაღურჯებული ჰქონდა. მ. ს-ემ იცოდა რა, რომ ზ. ნ-ს ცუდი სიმთვრალე ჰქონდა, იფიქრა, მასთან სახლშიც არ შესულიყო და იქიდან ჩქარა წამოვიდა. გზაზე გაიგონა ფეხის ხმა და ტელეფონის მამუქზე იცნო მეზობელი ზ. ნ-ი.

სააპელაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა ზ. ნ-მა თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ, მხოლოდ – ნარკოტიკული ნივთიერებების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ნაწილში და აღნიშნა, რომ ნასვამი იყო, მოიხმარა მარიხუანა, მაგრამ ყაჩაღობა არ ჩაუდენია. მ. ნ-ის სახლში ადრეც დადიოდა გასართობად, რადგან ამ უკანასკნელს ხშირად მოჰყავდა სახლში გოგონები. იცოდა, რომ იმ ღამითაც იყვნენ მასთან გოგონები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მ-ას იმ ღამით გოგონები არ მიუყვანია. მ-ას ხმა ვერ გააგონა და ფანჯრიდან იმიტომ შევიდა. ამ უკანასკნელმა კი ყვირილი დაიწყო. მას ნივთების წამოღების და სხეულის დაზიანების განზრახვა არ ჰქონია. ტელეფონი იმიტომ წამოიღო, რომ მ-ა პოლიციაში დარეკვას აპირებდა. ზ. ნ-მა განაცხადა: „ნასვამი ვიყავი და არ მახსოვს, მგონი, ტელე-

ფონის დაუფლების შემდეგ ვცემე დაზარალებულს, ისიც იმიტომ, რომ ფეხი ჩამარტყა საზარდულში და გავმწარდი».

პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი ყაჩაღობის ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებზე. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები ყაჩაღობის ნაწილში ნაკლებსარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულია საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ: არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ზ. ნ-მა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ჩაიდინა თავდასხმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით. საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ, ხოლო იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, განსასჯელის ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით, რადგან აღნიშნული მუხლის დისპოზიციით ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მიუქართ, მაშინ, როდესაც სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების თანახმად, განსასჯელს არ მოუხდენია თავდასხმა მობილური ტელეფონის ან სხვა მოძრავი ნივთების გატაცების მიზნით. დაზარალებულის კუთვნილი მობილური ტელეფონი უკვე მის მფლობელობაში იყო და მის მიერ გამოყენებული ძალადობა განაპირობა შემთხვევის ადგილიდან გაქცევის მიზანმა; დაზარალებული არც შეხებია იქვე «ტუმბოზე» დაწყობილ მოძრავ ნივთებს (ოქროს ბეჭედი, ფული და მარგალიტის მძივი). შესაბამისად, განსასჯელის მიერ ჩადენილი ქმედება არ გვაძლევს ყაჩაღობის შემადგენლობას და, ამდენად, უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქვეპუნქტით.

ზემოხსენებული დანაშაულის ჩადენით ასევე საფრთხე შეექმნა ადამიანის სხეულის ხელშეუხებლობას, რაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიხატა ცემაში, კერძოდ:

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ... დასკვნით მ. ნ-ს სხეულზე აღენიშნება დაზიანებანი სისხლნაჟღენთის, სისხლჩაქცევისა და ნაჭდევის სახით, რომლებიც მიყენებულია მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. რადგან ზ. ნ-ის ქმედებას არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია, ჩადენილი დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 125-ე მუხლის I ნაწილით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ზ. ნ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის III ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 178-ე მუხლის II ნაწილის «ა» და იმავე მუხლის III ნაწილის «გ» ქვეპუნქტებსა და 125-ე მუხლის I ნაწილზე. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 178-ე მუხლის III ნაწილი მოიცავს იმავე მუხლის II ნაწილს, მსჯავრდებულს სასჯელი უნდა დაენიშნოს სსკ-ის 178-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქვეპუნქტის გათვალისწინებით.

ზ. ნ-ი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქვეპუნქტით 7 წლით, 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 125-ე მუხლის I ნაწილით ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1^ა ნაწილის გამოყენებით ზ. ნ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის III ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთას – უნდა დაემატოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელის ნახევარი – 6 თვე და ზ. ნ-ს საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 125-ე მუხლის I ნაწილით ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. ნ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ზ. ნ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის III ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 178-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქვეპუნქტსა და 125-ე მუხლის I ნაწილზე.

ზ. ნ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქვეპუნქტით – 7 წლით, 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 125-ე მუხლის I ნაწილით ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1^ა ნაწილის გამოყენებით ზ. ნ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის III ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთას – დაემატოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელის ნახევარი – 6 თვე და ზ. ნ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა (მცდელობა)

განჩინება

1106-აპ-10

19 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზევირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ქ-ს ვ-ს დამცველის, ადვოკატ თ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 19 ივლისის განაჩენით, ქ. ვ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

განაჩენით მას მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის:

2009 წლის ოქტომბერში ქურდობის ჩადენის ფაქტზე დააკავეს ი. მ-ი და მისი სიმამრი ე. ზ-ი. მათ ბრალად შეერაცხათ საკანალიზაციო ჭების თავსახურების ქურდობის მრავალი ეპიზოდი და შეეფარდათ დაპატიმრება. აღნიშნულ საქმეზე ასევე იმხილებოდა მათი თანამზრახველი ი. მ-ი.

ი. მ-ს მამამ შ. მ-მა ი. მ-ს შვილის – ა. მ-ს რჩევით, ხსენებულ ბრალდებულებს ადვოკატად აუყვანა ქ. ვ-ე, რომელმაც პროკურატურასთან მიაღწია შეთანხმებას, რომ ი. მ-სა და ე. ზ-ს შეეფარდებოდათ 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ქ-ს ვ-მ, ისარგებლა რა აღნიშნული გარემოებით, განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდა შ. მ-ს ქონებას. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ქ-ს ვ-ე 2009 წლის 17 დეკემბერს ა-რ მ-თან ერთად მივიდა შ. მ-თან სახლში, მდებარე გ-ს რაიონის სოფელ ქ. ვ-მ შ. მ-ს აუხსნა, რომ მის შვილს და ე. ზ-ს ჩადენილი ჰქონდათ ქურდობის მრავალი ეპიზოდი, რის გამოც მათ პროკურატურაში ქრთამის მიცემით საქმე ისე მოაგვარეს, რომ ხსენებულ ბრალდებულებს მხოლოდ 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდებოდათ. აღნიშნულის სანაცვლოდ კი ქ. ვ-მ შ. მ-ს მოსთხოვა 5000 აშშ დოლარის გადახდა. ეს პირები შეთანხმდნენ, რომ საქმის მოსაგვარებ-

ლად საჭირო თანხის მესამედი ა. მ-ს უნდა გადაეხადა, ხოლო დანარჩენი – შ. მ-ს, ვინაიდან საქმეში ი. მ-ც იმხილებოდა. ეს უკანასკნელი ადვოკატს შეუთანხმდა, რომ გადასახდელ თანხას რამდენიმე დღეში გადასცემდა.

2009 წლის 18 დეკემბერს აღნიშნულის შესახებ შ. მ-მა შეატყობინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და გამოთქვა საგამომიებო ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილი. ამასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ დაიწყო წინასწარი გამოძიება და იმავდროულად დამნაშავეს გამოვლენისა და მხილების მიზნით, კანონის მოთხოვნათა დაცვით, დაიგეგმა და მოსამართლის ბრძანების საფუძველზე ჩატარდა ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო მოქმედებები, რომელთა შედეგად დადგინდა, რომ 2009 წლის 22 დეკემბერს, დაახლოებით 20.00 საათზე, ადვოკატი ქ. ვ-ე ა. მ-თან ერთად კვლავ მივიდა შ. მ-ს საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც მან ქ. ვ-ს გადასცა მის მიერ მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 1000 აშშ დოლარი, ამასთან დაჰპირდა, რომ თანხის დანარჩენ ნაწილს – 2400 აშშ დოლარს მომდევნო დღეს, დილით, გადასცემდა. ქ. ვ-მ, თაღლითურად დაეუფლა რა იგი აღნიშნულ თანხას, შ. მ-ს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. ამასთან, ქ. ვ-მ თაღლითური გზით დაუფლებული თანხა გადასცა ა. მ-ს და განუცხადა, რომ სრულად შეეკრიბათ თანხა და მისთვის გადაეცათ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ქ. ვ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. მ-მ. აპელანტები სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და ქ. ვ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენისას იმ მოტივით, რომ გარდაბნის რაიონული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი და არ ემყარება საქმეზე შეკრებილ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას; აპელანტების განმარტებით, სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას დაეყრდნო მხოლოდ დაზარალებულის მიერ მიცემულ, აბსურდულ ჩვენებას და არა სხდომაზე გამოკვლეულ, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ასევე არ გაიზიარა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ქ. ვ-ს გამამართლებელი არგუმენტები.

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ ქ-ს ვ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 19 ივლისის განაჩენი ქ. ვ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

ქ. ვ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2009 წლის 22 დეკემბრიდან.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ქ. ვ-ს დამცველმა, ადვოკატმა თ. მ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს ქ. ვ-ს გამართლებას წარდგენილ ბრალდებაში იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ქ. ვ-ს მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, რადგან მისი დაკმაყოფილებისათვის ქ. ვ-ს ბრალდების საქმის მასალებში არ მოიპოვება სამართლებრივი საფუძველი. საქმეში არსებული, საპროცესო ნორმების დაცვით მოპოვებული სარწმუნო მტკიცებულებებით: მოწმე ა. მ-ს და დაზარალებულ შ. მ-ს ჩვენებებით, ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის დადგენილებით, ნივთიერი მტკიცებულების შემოწმების, დათვალიერების, დალუქვისა და საქმეზე დართვის შესახებ დადგენილებით, ფულადი ნიშნების დათვალიერებისა და გადაცემის ოქმით, ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიების ჩატარების ოქმით, ექვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, რომლებიც დაცვის მხარეს არ გაუბათილებია სხვა უტყუარი მტკიცებულებებითა და სარწმუნო არგუმენტებით, ქ. ვ-ს ბრალეულობა დადასტურებულია. ამასთან, საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ ქ. ვ-ს მიმართ სასჯელის განსაზღვროს დროს, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაითვალისწინა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და ისე განუსაზღვრა მას სამართლიანი სასჯელი, რომლის შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

ამავე დროს საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადგინო საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ვერ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება და კვალიფიკაცია. მხედველობაშია შემდეგი გარემოებები: როგორც საქმის მასალებით უტყუარად არის დადგენილი, მას შემდეგ, რაც ქ. ვ-ე შეუთანხმდა მის მიერ მოთხოვნილი თანხის გადაცემის ადგილისა და დროის შესახებ, დაზარალებულმა შ. მ-მა მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

ნისტროს გენერალური ინსპექციის საგამომიებო სამმართველოს უფროსმა ბ. მ-მა შ. მ-ს გადასცა ოპერატიულ-სამებრო ღონისძიების ჩასატარებლად გამოყოფილი თანხა – 10 ცალი 100 აშშ დოლარის ნომინალის კუპიურები, რომელთა გამოყენებითაც დაგეგმეს და ჩაატარეს კანონით გათვალისწინებული ოპერაცია ქ. ვ-ს დანაშაულის ფაქტზე მხილებისათვის, რაც განხორციელდა კიდეც და ქ. ვ-ე ფაქტზე დააკავეს.

კანონის თანახმად, თაღლითობა წარმოადგენს შედეგიან დელიქტს, რომელიც დამთავრებულად ითვლება მხოლოდ დამნაშავეს მიერ გამიზნული მართლსაწინააღმდეგო შედეგის რეალურად დადგომის შემთხვევაში, რაც გამოიხატება დაზარალებულის კუთვნილი ამა თუ იმ ნივთის დაუფლებაში, რითაც ზიანი ადგება დაზარალებულს. მოცემულ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა შ. მ-მა სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა, მთლიანად გამოირიცხა ქ. ვ-ს ქმედებით მისთვის ზიანის მიყენების, ანუ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა. ვინაიდან დანაშაულის ობიექტის – დაზარალებულ შ. მ-ს საკუთრების უფლების ხელყოფა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ შესაბამისი დანაშაულის საგნის – დაზარალებულ შ. მ-ს კუთვნილი თანხის დაუფლების გზით, რისი შესაძლებლობაც გამოირიცხული იყო იქიდან გამომდინარე, რომ დაზარალებულ შ. მ-ს თავისი კუთვნილი თანხა არ გადაუცია ქ. ვ-თვის, როცა ეს უკანასკნელი დააკავეს, – თანხა – 10 ცალი 100 აშშ დოლარიანი კუპიური, რომელიც ოპერატიული ღონისძიების ჩატარების დროს გადაეცა მსჯავრდებულს, წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საკუთრებას, რომლის გადაცემის პროცესს მთლიანად აკონტროლებდნენ აღნიშნული ინსპექციის თანამშრომლები.

განხილული გარემოებები იმაზე მიუთითებს, რომ მსჯავრდებულ ქ. ვ-ს მიერ ჩადენილია არა დამთავრებული თაღლითობა, არამედ – თაღლითობის მცდელობა, რაც გამოიწვევდა დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, ხოლო სააპელაციო სასამართლომ განაჩენის დადგენისას არ გაითვალისწინა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ დაუშვა საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა – სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც განაჩენის შეცვლის საფუძველია ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში. რაც შეეხება მსჯავრდებულ ქ. ვ-ს მიმართ დანიშნულ სასჯელს, იგი სავსებით შეესაბამება განხილული დანაშაულის მცდელობისათვის სასამართლო პრაქტიკით დადგენილი სასჯელის ზომას, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ქ. ვ-ს მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ქ. ვ-ს დამცველის, ადვოკატ თ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ქ. ვ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ქ. ვ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

65-აპ-11

22 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშარელი,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 ივლისის განაჩენით შ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და შ. მ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და შ. მ-ს სამოქალაქო მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის – 1 030 480 ლარის ოდენობით ანაზღაურება. შ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2009 წლის 9 ნოემბრიდან.

განაჩენით შ. მ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის დაუფლება, ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით, დიდი ოდენობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

მანვე ჩაიდინა სამეწარმეო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის და სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: საქართველოს მთავრობის 2008 წლის 11 და 13 აგვისტოს 538-539 განკარგულებებით, შპს „ს. უ-ს“ ქვეყანაში არსებული საომარი მდგომარეობის გამო, სურსათის მოსალოდნელი დეფიციტის თავიდან ასაცილებლად და ხორბლის მარაგის შესაძენად 5 წლის ვადით გამოეყო სესხი 12 500 000 აშშ დოლარის ოდენობით. შპს „ს. უ-მ“ აღნიშნული სესხით აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან განახორციელა პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილის იმპორტი. პროდუქციის შემოტანის შემდეგ ორგანიზაციამ დაიწყო იმპორტული ფქვილის რეალიზაცია საქართველოს შიდა ბაზარზე.

საქართველოში ხორბლის ფქვილის ერთ-ერთ მსხვილ დისტრიბუტორს წარმოადგენდა შპს „ს-ა“, რომლის დირექტორმა შ. მ-მა გადაწყვიტა, ესარგებლა შექმნილი ვითარებით და ფიქტიური ხელშეკრულებების გაფორმებით, მართლსაწინააღმდეგოდ, მოტყუებით დაუფლებოდა შპს „ს. უ-ს“ ქონებას.

შ. მ-მა დანაშაულებრივი განზრახვის აღსასრულებლად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით 2008 წლის 5 სექტემბერს, 30 სექტემბერსა და 15 ოქტომბერს შპს „ს. უ-სთან“ გააფორმა სამი ხელშეკრულება, რომელთა მიხედვითაც, შეისყიდა 1.060.480.1 ლარის ღირებულების 1297, 15 ტონა პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილი. იმავდროულად ფორმალურად იკისრა ვალდებულება, რომ, თითქოს, 2008 წლის დეკემბრის ბოლომდე დაფარავდა ფქვილის საფასურს.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების თანახმად, შპს „ს. უ-მ“ 2008 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაასრულა შპს „ს-სათვის“ ხორბლის ფქვილის მიწოდება, მაგრამ შ. მ-ს განზრახული ჰქონდა რა სხვისი კუთვნილი ქონების მოტყუებით, თაღლითური გზით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, მიუხედავად იმისა, რომ სრულად მოახდინა ფქვილის რეალიზაცია, ამონაგები დიდი ოდენობით თანხები არ გადარიცხა მომწოდებლის ანგარიშზე და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა. დანაშაულებრივი განზრახვისა და ქმედების შენიღბვის მიზნით შ. მ-მა 2009 წლის აგვისტო-სექტემბერში შპს „ს. უ-ს“ ანგარიშზე ფორმალურად შეიტანა 30 000 ლარი, რითაც შეეცადა წარმოეჩინა, რომ აპირებდა დარჩენილი დებიტორული დავალიანების დაფარვასაც.

შ. მ-ის ამგვარი ქმედებით სახელმწიფოს მიადგა 1 030 480.1 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

მანვე, ჩადენილი ჰქონდა რა მოტყუებით დიდი ოდენობით სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, განიზრახა სამეწარმეო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად

გამოყენება, ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის და სხვისთვის გამოჩენის მიღების მიზნით, კერძოდ:

შპს „ს-ს« მიერ შპს „უ-სთან« გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ითვალისწინებდა საჯარიმო სანქციების დარიცხვის შესაძლებლობას, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საჯარიმო სანქციების დარიცხვის შესაძლებლობას, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,15 % ოდენობით.

მიუხედავად ამისა, შ. მ-მა, ორგანიზაციისა და მისი ფაქტობრივი დამფუძნებლების – ბ. ბ-ისა და გ. მ-ის ინტერესების საწინააღმდეგოდ, რეალიზებული ფქვილის საფასურის მომწოდებლისათვის გადაუხდელობით, განაპირობა ძირითად თანხასთან – 1. 030.480.1 ლართან ერთად ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი საჯარიმო სანქციების დარიცხვის შესაძლებლობა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა შ. მ-მა, რომელიც საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 ივლისის განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის განაჩენით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 ივლისის განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა შ. მ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში ახალი სასამართლო განხილვისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულ შ. მ-ის მიერ თაღლითობის (რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დიდი ოდენობით) ჩადენა დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეთა ჩვენებებით, შპს «ს-დან» ამოღებული დოკუმენტებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით.

რაც შეეხება შ. მ-ის მიერ სამეწარმეო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამოჩენის, ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თაღლითობა მაკვალიფიცირებელი გარემოების – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით – ამ შემთხვევაში მთლიანად მოიცავს შ. მ-ის ყველა ქმედებას და მათგან გამოწვეულ შედეგს. კერძოდ, როდესაც შ. მ-მა გადაწყვიტა, მოტყუებით დაუფლებოდა სახელმწიფოს კუთვნილ, დიდი ოდენობით თანხას, გამოიყენა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა, გააფორმა ხელშეკრულებები, ხოლო შემდეგ განზრახ არ შესრულა ნაკისრი ვალდებულებები, არ გადარიცხა თანხა მომწოდებლის ანგარიშზე და ამით ფაქტობრივად დაეუფლა მას. რომ არა მისი პრივილეგიური მდგომარეობა – გაძლოდა საწარმოს საქმიანობას და მიეღო გადაწყვეტილებები თანხების განკარგვასთან დაკავშირებით, მისი დანაშაულებრივი განზრახვა ვერ განხორციელდებოდა.

ამასთან, საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პირის ქმედებაში სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან ერთად არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სპეციალური ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობაც, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელსაც ასევე მოიცავს ზოგადი ნორმის შემადგენლობა, მაშინ აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სპეციალური ნორმით. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქ/პუნქტი მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი დამატებით, ზოგადი ნორმით – 220-ე მუხლით კვალიფიკაციას აღარ საჭიროებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შ. მ-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ნაწილში და შესაბამისი ცვლილება შევიდეს დანიშნულ სასჯელშიც.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 180-ე მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას, რის გამოც მსჯავრდებულის ქმედება თაღლითობის ეპიზოდში უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისი ქ/პუნქტებით.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ შ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შ. მ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ნაწილში.

შ. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების მცდელობა

განჩინება

345-აპ-11

25 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

დ. სულაქველიძე,

იური ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. კ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრის განაჩენით ე. კ-ა, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 7 ოქტომბრიდან.

ე. კ-ას «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით ე. კ-ას მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა, გასაღებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ე. კ-ამ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა კუსტარული წესით მიღებული, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი, რომლის გასაღებაც განიზრახა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებულ შვილზე – ვ. კ-აზე. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ე. კ-ამ ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველ ფხვნილში დაასველა ექვსი მოყვითალო ფერის თხელი ქსოვილი, მოათავსა პირსახოცის ორივე ბოლოში, ნაკერების შიგნითა მხარეს და ამ გზით შენიღბული ჩადო სასჯელადსრულების დეპარტამენტის 6 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულ ვ. კ-ასათვის გადასაცემ ამანათში.

2010 წლის 7 ოქტომბერს, დაახლოებით 13.30 საათზე, საქართველოს სასჯელადსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის 6 დაწესებულების საამანათო განყოფილებაში ე. კ-ამ წარადგინა ამანათი და შეავსო წერილობითი განცხადება, რის საფუძველზეც აღნიშნული დაწესებულების ადმინისტრაციას ამანათი უნდა გადაეცა იმავე დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულ ვ. კ-ასათვის.

განცხადებაში ე. კ-ამ აღნიშნა, რომ ამანათში არ იყო მოთავსებული აკრძალული საგნები, ნივთები (მათ შორის ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებები), რის შესახებაც გაფრთხილებული იყო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ.

ე. კ-ას მიერ წარმოდგენილი ამანათის შემოწმების შედეგად, კერძოდ, მასში მოთავსებული, ღია ფერის პირსახოცის ორივე ბოლოში, ნაკერების შიგნითა მხარეს, ნანახი იქნა მოყვითალო ფერის ქსოვილი, გაჟღენთილი საექვო სპეციფიკური სუნის მქონე სითხით, რომელიც მას ჩამოართვეს და შეინახეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 6 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროს ჯ. ი-თან, ხოლო ე. კ-ა დააკავეს.

საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის 2010 წლის 8 ოქტომბრის 1265/სქ დასკვნის თანახმად: „მოქალაქე ე. კ-ას მიერ წარმოდგენილი ამანათის შემოწმებისას ამოღებული პირსახოცის ორივე ბოლოში არსებული ნაკერების კიდეებში ჩაყოლებული ექვსი თხელი ქსოვილი, თითოეული წონით – 0,22 გრამი, საერთო წონით – 1,32 გრამი, გაჟღენთილია კუსტარული წესით მიღებული ჰეროინის შემცველი ნარევით, საერთო წონით – 0,165 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება ჰეროინის საერთო რაოდენობა შეადგენს – 0, 0264 გრამს, ხოლო დანარჩენი არანარკოტიკული მინარევია».

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ე. კ-ამ. აპელანტმა აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მან მართლაც მიიტანა ბ. წ-ის მიერ გადაცემული ამანათი, რომელშიც აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება, რისი არსებობის შესახებაც მან არ იცოდა. ე. კ-ამ ასევე აღნიშნა, რომ იგი დააკავეს საპროცესო ნორმების დარღვევით, კერძოდ, მას გასაგებ ენაზე არ გააცნეს თავისი უფლებები, არ განუმარტეს, თუ რაში ედებოდა ბრალი. ამდენად, მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განაჩენით გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ე. კ-ამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა აღნიშნა, რომ საქმე განხილულია სამართლებრივი და საპროცესო ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; სასამართლოს დასკვნები არ გამოიმდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; ექვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, არ გადაწყდა ბრალდებულის სასარგებლოდ და ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

საქართველოს მთავარი პროკურატურის სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორმა მ. უ-ემ შესაგებლით ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ე. კ-ას საკასაციო საჩივრის მოთხოვნას უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებისა და მისი გამართლების შესახებ, უსაფუძვლოდის გამო.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: ბრალდებულის დაკავების, პირადი ჩხრეკისა და დათვალიერების ოქმებით, მოწმეების: ჯ. ი-ის, ი. გ-ის, ე. ს-ის, ტ. კ-ას, ბ. წ-ის ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის 1265/სქ, დასკვნით ე. კ-ას მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების გარდა, დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ე. კ-ას მიერ ნარკოტიკების გასაღების ჩადენის ფაქტს.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსსკ-ის 37-ე მუხლის II ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით, გამოძიების მიერ სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოკვლეულა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცემია მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის II ნაწილის თანახმად: «გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ექვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას». საქართველოს სსსკ-ის

მე-5 მუხლის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ, ხოლო იმავე კოდექსის 259-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

კანონმდებლობით უკანონო გასაღებში იგულისხმება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პროკურსორის სხვა პირისათვის უკანონო გადაცემის ნებისმიერი ხერხი როგორც საზღაურით, ისე საზღაურის გარეშე (გაყიდვა, გაჩუქება, გაცვლა სხვა ნივთში, გასესხება და ა.შ.). იგი დამთავრებულად ჩაითვლება სხვა პირზე მისი გადაცემისას.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ე. კ-ას ქმედება, მართალია, მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების თავისი შვილის – ვ. კ-სათვის გადასაცემად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამდენად, მოხდა არა დამთავრებული დანაშაული, არამედ – დანაშაულის მცდელობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ ე. კ-ას ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის II ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების მცდელობაზე.

მსჯავრდებული ე. კ-ა ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა და სსკ-ის მე-19, 260-ე მუხლის II ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების მცდელობა.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხლის VII ნაწილით, 303-ე მუხლის II, III, V ნაწილებით, 307-ე მუხლის I ნაწილის «გ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ე. კ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განაჩენი შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ ე. კ-ას ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის II ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების მცდელობაზე.

მსჯავრდებული ე. კ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა და სსკ-ის მე-19, 260-ე მუხლის II ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების მცდელობაში.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. დანაშაულის შეუტყობინებლობა

განჩინება

175-აპ-11

7 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშარელი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ბ-სა და მსჯავრდებულ პ. ს-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 15 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 სექტემბრის განაჩენით:

პ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და მე-19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 19 წლით თავისუფლების აღკვეთა, 239-ე მუხლის მესამე ნაწილით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 238¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 28 წლით თავისუფლების აღკვეთა. პ. ს-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 17 თებერვლიდან.

ზ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 376-ე მუხლით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს – 2 წლით თავისუფლების აღკვეთას – ნაწილობრივ დაემატა სსკ-ის 376-ე მუხლით დანიშნული სასჯელიდან – 2 წლით თავისუფლების აღკვეთიდან – 1 წელი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. ზ. კ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 18 თებერვლიდან.

ზ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 376-ე მუხლით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთას – ნაწილობრივ დაემატა სსკ-ის 376-ე მუხლით დანიშნული სასჯელიდან – 3 წლით თავისუფლების აღკვეთიდან – 2 წელი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ზ. კ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 18 თებერვლიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების – პ. ს-ს, ზ. და ზ. კ-ების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

პ. ს-ე ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2010 წლის 15 თებერვალს, დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე, ნასვამი პ. ს-ე, თავის ორ მეგობართან – ზ. და ზ. კ-ებთან ერთად, ... მიკროავტობუსით, რომელშიც აგრეთვე იმყოფებოდნენ სხვა მგზავრებიც, მგზავრობდა ... მიმართულებით. მიკროავტობუსში მას და მის თანმხლებ პირებს შელაპარაკება მოუხდათ თ. და რ. კ-ებთან, რაც გადაიზარდა ჩხუბში. პ. ს-ე, ზ. და ზ. კ-ები უცენზურო სიტყვებით აყენებდნენ სიტყვიერ და ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას თ. და რ. კ-ებს. წარმოქმნილი ხმაურის გამო, მიკროავტობუსის მძღოლი იძულებული გახდა, ... გზატკეცილის ... მიმდებარე ტერიტორიაზე გაეჩერებინა ავტომანქანა, რის შემდეგაც პ. ს-ე, ზ. და ზ. კ-ები, თ. და რ. კ-ები ჩამოვიდნენ ავტომანქანიდან და ჩხუბი გაგრძელდა ქუჩაში. პ. ს-ე, ზ. და ზ. კ-ები კვლავ აყენებდნენ უცენზურო სიტყვებით სიტყვიერ და ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას თ. და რ. კ-ებს. ამის გამო, მიკროავტობუსიდან ჩამოვიდნენ მოქალაქეები, რომლებიც ცდილობდნენ პ. ს-სა და მასთან ერთად მყოფი ზ. და ზ. კ-ების დაწყნარებას, მოუწოდებდნენ, შეეწყვიტათ ჩხუბი და უცენზურო სიტყვების ხმარება. მიუხედავად აღნიშნულისა, პ. ს-ე, ზ. და ზ. კ-ები აგრძელებდნენ თავიანთ დანაშაულებრივ ქმედებას, რომე-

ლიც გრძელდებოდა 5-10 წუთის განმავლობაში, რითაც მათ დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატეს აშკარა უპატივცემულობა შეკრებილი მოქალაქეების მიმართ. ჩხუბის დროს პ. ს-მ განიზრახა რ. და თ. კ-ების განზრახ მოკვლა და თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თანაქონი დანით (რომელიც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, არის ქარხნული წესით დამზადებული მჩხვლეტავ-მჭრელი დანა, ფიქსირებული მოწყობილობით და მიეკუთვნება ცივ იარაღთა კატეგორიას) ჯერ რ. კ-ს მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები გულმკერდის არეში, ხოლო შემდეგ თ. კ-ს – მრავლობითი ჭრილობები გულმკერდისა და მუცლის არეში. რ. კ-ი მიყენებული დაზიანებების შედეგად საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, ხოლო თ. კ-ს დროული დახმარების შედეგად შეუნარჩუნდა სიცოცხლე. პ. ს-ე, ზ. და ზ. კ-ები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზ. და ზ. კ-ებმა დაინახეს, თუ როგორ მიაყენა თანაქონი დანით სასიკვდილო ჭრილობები პ. ს-მ რ. კ-ს, იმ მოტივით, რომ შეეცოდათ პ. ს-ე და შეეშინდათ, არ შექმნადათ პრობლემები პოლიციის მხრიდან, დამალეს მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი და არ შეატყობინეს მომხდარი დანაშაულის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 15 თებერვლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ზ. კ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ბ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ზ. კ-ს გამართლებას საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაში იმ საფუძველით, რომ ზ. კ-ე მომხდარი ფაქტის შემდეგ არ მიმალულა; მან ნამდვილად არ იცოდა, რომ მომხდარი იყო მძიმე დანაშაული; თ. კ-ს სიკვდილის თაობაზე მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა დააკავეს.

მსჯავრდებულ პ. ს-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ი-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: პ. ს-ს გამართლებას ხულიგნობასა და ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის ნაწილებში, მის მიერ ჩადენილი ქმედების გადაკვალიფიცირებას სსკ-ის 117-ე მუხლზე, ხოლო 238¹ მუხლის მეორე ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის 1 წლამდე შემცირებას; კასატორის მოსაზრებით, ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა უტყუარი, საკმარისი და თანმიმდევრული მამხილებელი მტკიცებულებები პ. ს-ს მიმართ ბრალად შერაცხულ ქმედებებთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულების აღიარებითი ჩვენებებით, დაზარალებულის, დაზარალებულის უფლებამონაცვლისა და მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტიზების დასკვნებით ზ. და ზ. კ-ების მიერ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, ხოლო პ. ს-ს მიერ – სსკ-ის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით მათთვის ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია, რაც სადავოდ არც თვითონ მსჯავრდებულებს მიაჩნიათ.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ პ. ს-სა და მისი ინტერესების დამცველის საკასაციო საჩივრის მოტივებს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და მე-19, 109-ე მუხლის შესამე ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, 239-ე მუხლის შესამე ნაწილით პ. ს-ს უდანაშაულობის შესახებ და თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები.

მსჯავრდებულ პ. ს-ს ბრალეულობა დადასტურებულია მსჯავრდებულების – ზ. კ-სა და ზ. კ-ს ჩვენებებით, დაზარალებულ თ. კ-სა და მოწმეების – ა. მ-ს, ე. ა-ს, ჟ. პ-ს, მ. ა-ს, ა. მ-სა და სხვათა ჩვენებებით, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ე. ხ-ს ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ამოღების ოქმებით, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმით, პირის ამოსაცნობად წარდგენის ოქმით, ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმით, ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა მსჯავრდებულ პ. ს-ს მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდებები. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედებები და არ არსებობს საფუძველი მათი შეცვლისათვის, კერძოდ:

მსჯავრდებულ პ. ს-ს ჩვენებით, 2010 წლის 15 თებერვალს მიმართულებით მოდიოდა მიკროავტობუსით მეგობრებთან – ზ. და ზ. კ-ებთან ერთად. მგზავრობისას იგი მობილური ტელეფონით ესაუბრებოდა მეგობარ გოგონას და როდესაც შემოესმა ჩხუბის ხმა, მხოლოდ მაშინ გათიშა ტელეფონი. მან გაიგონა ძახილი, გაეჩერებინათ ავტომანქანა, ვიღაც ივინებოდა და ყველას ავტომანქანიდან ჩასვლისაკენ მოუწოდებდა. ჩამოსვლისას ვიღაცამ დაარტყა, წაიქცა და თან რამდენჯერმე დაარტყეს,

რის გამოც დანა, რომელსაც კონტროლის მიზნით თითო დააფარა, რომ ღრმა ჭრილობა არ მიეყენებინა, ერთი-ორჯერ დაარტყა მასთან მოჩხუბარს. პ. ს-მ კატეგორიულად უარყო თ. კ-თან რაიმე შეხება, დაადასტურა, რომ რ. კ-ს 3-4-ჯერ დაარტყა დანა და ისიც – თემოსა და ფეხში, თან დანას დამჯდარ მდგომარეობაში ურტყამდა. მისთვის უცნობია, თუ ვინ მიაყენა გულმკერდის არეში დაზიანება რ. კ-ს. მას ზ-სა და ზ-ს ხელში დანა არ დაუნახავს; რ. კ-ს დანა არ ჰქონია და რაიმე საშიშროება მისგან არ მოდიოდა. დანის დარტყმა მისი მხრიდან კი ახსნა იმ გარემოებით, რომ მას უმიზეზოდ რამდენჯერმე დაარტყეს. პ. ს-მ უარყო მოკვლის მიზნით რ. კ-სათვის დანის დარტყმა და თ. კ-სათვის რაიმე დაზიანების მიყენება.

მსჯავრდებულ ზ. კ-ს ჩვენებით, 2010 წლის 15 თებერვალს პ. ს-სა და ზ. კ-სთან ერთად იმყოფებოდა ... საიდანაც გვიან ღამით ბრუნდებოდნენ მიკროავტობუსით ... მათთან ერთად იმყოფებოდნენ სხვა მგზავრებიც. გზაში ამოვიდა სამი მგზავრი – ორი ბიჭი და ერთი გოგონა. ერთ-ერთი ამოსული მგზავრი მამაკაცი დაჯდა მის გვერდით, გოგონა მოთავსდა ზ. კ-ს გვერდით, ხოლო მამაკაცი დადგა ამ გოგონას გვერდით, პ. ს-ე კი იჯდა მძღოლის სავარძლის უკან. ზ. კ-მ მიანიშნა მის გვერდით მჯდომ გოგონასა და მასთან მდგარ მამაკაცზე და უთხრა, ნახე, რას აკეთებენო. ამის შემდეგ კი ყველაფერი წამებში მოხდა. თ. კ-სა და ზ. კ-ს შორის ჯერ სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა, შემდეგ კი – ფიზიკური შეხებაც. თ. კ-თან ერთად ამოსული გოგონა ცდილობდა გაშველებას. ამის შემდეგ გოგოს მოთხოვნით გაჩერდა მიკროავტობუსი და მოჩხუბრები ჩავიდნენ. თვითონ როდესაც ჩავიდა, ნახა, რომ ზ. კ-ე თ. კ-ს ეჩხუბებოდა და შეეცადა მათ გაშველებას. მას მიზანმიმართულად არავისთან არ უჩხუბია. ჩხუბის დროს დაინახა პ. ს-ე, რომელსაც ხელში დანა ეკავა. მან დაინახა ერთმანეთთან მოჩხუბარი პ. ს-ე და რ. კ-ი, დაინახა ასევე, რომ პ. ს-ს ხელში დანა გაშლილი ეჭირა, რომელიც იქნევდა რ. კ-ს მიმართულებით. დანამდვილებით არ იცის, თუ რამდენჯერ დაარტყა დანა. შემდეგ, როდესაც ზ. კ-ე გამოარიადა თ. კ-ს, დაინახა უკვე სამარშრუტო ტაქსთან ახლოს მყოფი თ. კ-სა და პ. ს-ს ჩხუბი, როდესაც თ. კ-ს პ. ს-მ რამდენჯერმე მოუქნია დანა. სწორედ მან უთხრა პ. ს-ს, დანა დაეკეცა და შეენახა. ჩხუბში გარდა პ. ს-სა, დანა არავის ჰქონია და, საერთოდ, არც არსებობდა მისი გამოყენების აუცილებლობა. ზ. კ-მ დაადასტურა, რომ ზ. კ-სა და პ. ს-ს შორის დანის გამოყენებასთან დაკავშირებით მოხდა შელაპარაკება, რა დროსაც პ. ს-ე ამბობდა, რომ «დანაზე კონტროლი ედო და მხოლოდ მიართყა». ზ. კ-ს განმარტებით, მისთვის უცნობი იყო, თუ რა სიმძიმის დაზიანება ჰქონდათ მიყენებული დაზარალებულებს.

მსჯავრდებულ ზ. კ-ს ჩვენებით, 2010 წლის 15 თებერვალს ზ. კ-სა და პ. ს-სთან ერთად იმყოფებოდა ..., ვინაიდან იმ დღეს გაყიდა თავისი ავტომანქანა. ღამით, როდესაც ... მიკროავტობუსით ბრუნდებოდნენ, სადაც მათ გარდა სხვა მგზავრებიც იმყოფებოდნენ, ამოვიდა კიდევ სამი პიროვნება – ორი ბიჭი და ერთი გოგო. ამოსულთაგან ერთი მგზავრი დაჯდა ზ. კ-ს გვერდით, რომელიც მის უკან იჯდა, გოგო – მის გვერდით, ხოლო ბიჭი დადგა ამ გოგოს გვერდით. პ. ს-ე იჯდა მათ წინ. მგზავრობისას ფეხზე მდგომმა რ. კ-მა აკოცა მის გვერდით მჯდომ გოგოს და მანაც კოცნითვე უპასუხა. მათი ასეთი საქციელი მიუღებელი აღმოჩნდა მისთვის და შენიშვნა მისცა რ. კ-ს, ზრდილობიანად მოქცეულიყო. ამის შემდეგ იგი მოტრიალდა ზ. კ-საკენ, შეაგინა კ-ოვს და კ-ეს მიმართა, შეეხედა, რა დღეში იყვნენ მგზავრები. რამდენიმე წუთის შემდეგ ზ. კ-ს გვერდით მჯდომმა თ. კ-მა მას ჰკითხა, თუ ვის შეაგინა. ამის შემდეგ სიტუაცია დაიძაბა, დაიწყო გინება, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. თ. კ-ოვ-მა ხელი წაიღო დასარტყმელად მისი მიმართულებით, რა დროსაც მან დაასწრო და დაარტყა. ამას მოჰყვა ჩხუბი მიკროავტობუსში. ამ დროს გოგონამ, რომელიც კ-ოვებს ახლდა, მძღოლს მიკროავტობუსი გააჩერებინა. მანქანიდან ჩავიდნენ თვითონ, მისი მეგობრები და ის პირებიც, ვისაც ეჩხუბებოდნენ. კონკრეტულად პ. ს-ე როდის ჩავიდა, არ დაუნახავს, მაგრამ დაინახა, როგორ ეკავა ხელში მას დანა და დანიანი ხელით როგორ ეჩხუბებოდა კ-ს. «მარშრუტკიდან» ჩამოვიდნენ სხვა მგზავრი მამაკაციც, რომლებიც ცდილობდნენ მათ გაშველებას. თვითონ პირადად ეჩხუბებოდა თ. კ-ს. მან კატეგორიულად უარყო მის მიერ ან სხვათა მიერ ჩხუბში დანის გამოყენება, გარდა ს-სა, რადგან დანის გამოყენების აუცილებლობა არ იყო. შემდეგ იგი გამოარიდეს ჩხუბს. «მარშრუტკაში» ასვლის შემდეგ მან ბოდიში მოუხადა იქ მყოფ ქალბატონებს მომხდარის გამო. მას პირადად თ. კ-თან პ. ს-ე არ დაუნახავს, რადგან, როცა იგი მანქანაში ავიდა, ზ. კ-მ ჩამოსვლის საშუალება აღარ მისცა. მან გაიგონა ზ. კ-ს ხმა, რომელიც პ. ს-ს დანის შენახვისაკენ მოუწოდებდა, ამოსვლისას კი პირადად ჰკითხა პ. ს-ს, დანა დაარტყა თუ არა ვინმეს, რაზეც ს-მ უპასუხა, რომ დაარტყა. თბილისში ჩამოსვლისას ჩამოვიდნენ სპორტის სასახლესთან, სადაც ზ. კ-სთან ერთად დაშორდა პ. ს-ს. მოგვიანებით კი იგი პოლიციამ დააკავა.

დაზარალებულ თ. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ არის გარდაცვლილი რ. კ-ს ბიძაშვილი. 2010 წლის 15 თებერვალს იმყოფებოდა რ. კ-თან, მასთან ასევე იყო ჟ. პ-ნი. მათ დალიეს ალკოჰოლური სასმელი და საღამოს 9-10 საათი იქნებოდა, როდესაც ჟ. პ-ანს გაჰყვნენ მეგობართან ... უკან დაბრუნებისას რ. კ-ვმა გააჩერა ... მიმავალი მიკროავტობუსი და სთხოვა, რომ რამდენიმე გაჩერება გაჰყვებოდნენ. «მარშრუტკაში» პირველი თვითონ ავიდა და დაჯდა მძღოლიდან მესამე რიგში, ორადგილიან სავარძელზე. შემდეგ ავიდა ჟ., რომელიც მის წინ დაჯდა და ბოლოს – რ., რომელიც ჟ-ს გვერდით დადგა. მგზავრობისას ჟ-ს გვერდით მჯდომი პირი უკანა მხარეს, მის გვერდით მჯდომი პირისაკენ

მიტრიალდა და ჟ-სა და რ-ს შეაგინა. მან ჰკითხა, თუ ვის აგინებდა, რაზეც საპასუხოდ მუშტი დაარტყეს, რასაც მოჰყვა ჩხუბი. ვინაიდან სახლთან მიახლოებული იყვნენ, ჟ-მ გააჩერებინა ავტომანქანა, პირველი ჩავიდა მძღოლის უკან სავარძელზე მჯდომი პირი, შემდეგ – რ-ი, ჟ-ა და თვითონ. ჩასვლისას ჟ-ს ხელი ჰკრეს ზურგში. ქუჩაში იყო ხმაური, გინება, ერთი პირი რ-ს ეჩხუბებოდა, ხოლო ორი იყო მასთან. მან დაინახა რ. კ-ოვთან მოჩუბარი პირის მიერ დანიანი ხელის მოქნევა და ისიც, თუ როგორ დაარტყა მან რ. კ-ს, დაკითხვისას მიუთითა პ. ს-ძეზე. უშუალოდ მას იჭერდა ერთი პიროვნება და მიუთითა ზ. კ-ძეზე, რომელსაც მისთვის ხელები ჰქონდა შემოხვეული და ცდილობდა მის გაჩერებას, მაგრამ უკნიდან ურტყამდა. დაზარალებულმა მიუთითა ზ. კ-ძეზე, რომელმაც ჯერ «მარშრუტკაში» მიაყენა როგორც სიტყვიერი, ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა და შემდეგ მანქანიდან ჩამოსვლისას უშუალოდ მას უსწორდებოდა ფიზიკურად. როდესაც კ-ებმა ხელი გაუშვეს, დაინახა მისკენ მომავალი პ. ს-ძე დანიანი ხელით, რა დროსაც შეეცადა, მოეგერიებინა მის მიერ მოქნეული დანიანი ხელი და სწორედ ამ დროს მას რამდენჯერმე მოხვდა დანა. ამავე დროს გაიგონა ზ. კ-ს ნათქვამი სიტყვები: დანა დაკვეცე, შეინახეო. ამის შემდეგ მოჩუბრები მას მოშორდნენ, ჩასხდნენ მიკროავტობუსში და წავიდნენ.

ლ. ს-ს სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის ... დასკვნით დადგენილია, რომ რ. კ-ს სიკვდილის მიზეზია მწვავე, ზოგადი სისხლნაკლებობა, განვითარებული გულმკერდის მარცხენა ნახევრის ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობებიდან სისხლდენის შედეგად, გულისა და ფილტვის ქსოვილის დაზიანებით. ავადმყოფობის ისტორიაში მითითებულია, რომ რ. კ-ს სიკვდილი დადგა 2010 წლის 16 თებერვალს, 00.50 საათზე. გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის მონაცემები არ ეწინააღმდეგება აღნიშნულს. რ. კ-ს გვამს აღენიშნებოდა მრავლობითი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები: ა) გულმკერდის წინა ზედაპირზე, მკერდის ძვლის ქვემო კიდედთან, რომელიც შემავალი იყო გულმკერდის ღრუში და აზიანებდა გულის კუნთს. ჭრილობის არხის მიმართულებითაა წინიდან უკან, ოდნავ ზემოდან ქვემოთ, მარჯვნიდან მარცხნივ; ბ-გ) გულმკერდის წინა ზედაპირზე, ძუძუს ხაზზე, მე-7-8 ნეკნების დონეზე, შემავალი გულმკერდის ღრუში, ფილტვის ქსოვილის დაზიანებით. ჭრილობების არხების მიმართულებითაა წინიდან უკან, ოდნავ ზემოდან ქვემოთ, მარჯვნიდან მარცხნივ; დ-ე) გულმკერდის უკანა ზედაპირზე მარცხნივ, ილიის უკანა ხაზზე, მე-9-10 ნეკნების დონეზე და ბეჭის ხაზზე, მე-6-7 ნეკნების დონეზე, რომლებიც შემავალია გულმკერდის ღრუში და დააზიანეს ფილტვის ქსოვილი. ჭრილობათა არხების მიმართულებითაა უკნიდან წინ, ოდნავ ზემოდან ქვემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ; ვ) ზედაპირული ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მარცხენა თემოს ფრთის არეში. ყველა ეს დაზიანება მიყენებულია სიცოცხლის პერიოდში, რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის მოქმედებით. აქედან, მარცხენა თემოს ფრთის ჭრილობა ეკუთვნის მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის ნიშნით. ყველა სხვა დაზიანება, როგორც ერთად, ასევე ცალ-ცალკე ეკუთვნის სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს. რ. კ-ს გვამს აღენიშნებოდა ნაჭდევები – ცხვირისა და მარცხენა წინამხრის არეში. დაზიანებები მიყენებულია სიცოცხლის პერიოდში მკვრივი-ბლავი საგნის მოქმედებით, ატარებენ მსუბუქი ხარისხის დაზიანებათა ნიშნებს და მათ სიკვდილის გამოწვევა არ შეეძლოთ. რ. კ-ს გვამიდან აღებულ სისხლში აღმოჩნდა 2,5 პრომილე ეთილის სპირტი. სისხლისა და შინაგანი ორგანოების სასამართლო-ქიმიური გამოკვლევით ნარკოტიკული ან რაიმე მომწამვლელი ნივთიერებები არ აღმოჩნდა.

რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ის განსაზღვრულია მსჯავრდებულ პ. ს-ს მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგისა და თვით მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, რის გამოც არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

ამასთან, პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულებმა – ზ. და ზ. კ-ებმა შესაბამის ორგანოებს არ შეატყობინეს ფაქტობრივად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე, რის გამოც მათი ქმედების ხსენებული მუხლით დაკვალიფიცირება არასწორია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში მსჯავრდებულების – ზ. და ზ. კ-ების მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

მსჯავრდებულ ზ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით მოსახდელად უნდა განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; მსჯავრდებულ ზ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით მოსახდელად უნდა განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ პ. ს-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ზ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 15 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხოს საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში ზ. და ზ. კ-ების მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

მსჯავრდებულ ზ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით მოსახდელად განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2010 წლის 18 თებერვლიდან.

მსჯავრდებულ ზ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით მოსახდელად განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2010 წლის 18 თებერვლიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.